№ 79
შაბათი,
9 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2793
შაბათი
9 აპრილი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ნიკოლოზის ასული, ანნა ივანეს ასული, ლავრენტი და სიმონ ივანეს ძე შატბერაშვილები, მელანია ივანეს ასული კვიკვიძისა, ეფემია ივანეს ასული ციციშვილისა და ლიდია ივანეს ასული გოგიტიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი ორნი—დედამთილისას და დანარჩენები—დედის

ანასტასია სვიმონის ასულის შატბერაშვილისას

დაკრძალავენ სოფელ კავთისხევში (გორის მაზრა) კვირას, 10 აპრილს. (1—166—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, № № 25—30.
ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—1)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
ავეჯეულობათა სავაჭროში
(მიხეილის ქუჩა № 97)

დღესასწაულების მოახლოებისა გამო დანიშნულია **იაფი ვაჭრობა** ყოველ გვარ ავეჯეულობაზე გარდაწყვეტილი ფასია დადებული

მიიღება შემოკვეთილებაც როგორც ავეჯეულობათა, აგრეთვე საამშენებლო საქმეებისაც **ამხანაგობის ქარხანაში** (ელისაბედის ქუჩა სახლი № 25). მაღაზიის გამგე ი. რუსიშვილი, ქარხნის გამგე გ. ბერძენიშვილი გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე. (8—3)

ქ. **ქუთაისში**, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია", გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„გრანდ-ოტელი"

შუა ქალაქში, ფოსტის და ვაგზლის ახლოს. შენობა სრულიად გაახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, საოჯახო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ თბილი ან ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზე. (15—3—13)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად და სხვა პოემები და ლექსები
დ. გაბრუაშვილისა
გამოცემა „გუთნისა", ფასი 60 კაპ.
ვინც ნაღდზე იყიდის 20 ცალს, მანეთზე 40 კაპ. დაეთმობა. მსურველთ მიმართონ „ქ. შ. წ. კ. ს." და იოსებ იმედაშვილის წიგნის მაღაზიებს. (6—165—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ვ. ი. ჯიჯიხაძე. კბილის 8—9 საათ.
ბ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ ს.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
მ. დ. ლაჟბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. გ. მაჭანეტოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი ე. ქ. იოხელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ.
ს. ს. ალიქსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ი. ზავაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე [illegible]
[illegible] წვევისა და დარიგებისა 50 კაპ., [illegible] აქ თვი საწოლი. სამკურნალოში [illegible] მოვლებით. კრავატები დღეში [illegible] სამ [illegible]ნეთამდე. საზოგადო და ნო[illegible] მახ.
[illegible]: კუკია, ვოიკონიაჟესკის ქუჩა, (კუკიის [illegible] სახ[illegible]) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კ[illegible]34 Б.
ტელეფონი № 274.

ქ. ბათუმში
[illegible]იმი ა. პ. მაღალაშვილი
შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავად-[illegible] [illegible]ველ დღე დილის 9—10 საათამდის.
[illegible]სის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში [illegible] ბანკის სახლი. (60—403—50)

ექიმი
ნ. დიასამიძე
[illegible] ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვე-[illegible]ლის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღა-[illegible]—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-[illegible]ოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის [illegible]ის პირდაპირ № 18. (60—28—53)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
[illegible]ერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინი-[illegible] ორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხო-[illegible] ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხ. ქ. № 115. ნემეცების ეკკლესიის გვერ-

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

ქალების ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით (30—278—11)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—21).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

7 აპრილი

ტოკიო, 6 აპრილი. ჰფიქრობენ, რუსის ესკადრა ან კამრანის ბუხტაშია, ანა და ანამის რომელსამე ნავთსადგურში და ელოდება ნებოგატოვის ესკადრის შემოერთებასო. იუწყებიან, რუსის გემები ათვალიერებენ ნეიტრალურ გემებს კამრანის ბუხტასთანო.

ჰონკონგი, 6 აპრილი, („დეილი ტელეგრაფ"-ი). სანახშირე გემები ლინგაენის ბუხტიდან გავიდნენ.

საიგონი, 7 აპრილი. რუსის ესკადრა ჯერ ისევ კამრანის ბუხტაშია.

პეტერბურგი, 7 აპრილი. ოფიციალური. ხელმწიფე იმპერატორმა 28 მარტს ბრძანება გამოსცა სახელები დაარქვან და ჩარიცხონ ფლოტის გემთა რიცხვში შემდეგი, რომელთაც ახლა აშენებენ: სამი კრეისერი „ბაიან"-ის ტიპისა—„ადმირალ მაკაროვი", „პალლადა" და „ბაიან"-ი; ოთხი საკანონერო ნავი „გილიაკ"-ის ტიპისა—„ბობრ"-ი „გილიაკ"-ი, „სივუჩ"-ი და „კორეეც"-ი, ათი მდინარეში მავალი საკანონერო ნავი, 83 ტონიანი თვითო, ორი ნაღმიანი კრეისერი, 790 ტონიანი თვითო, ნაღმიანი ტრანსპორტი, „ენისეის" ტიპისა—„ენისეი" და ორი 287 ტონიანი და 29—350 ტონიანი ნაღმოსანი.

პარიზი, 7 აპრილი. „ეკო-დე-პარი" იუწყება, რუსის 30 აფიცერი და ინჟენერი მოვიდა მარსელში, რათა ყური უგდონ სამ კონტრ-ნაღმოსანისა და ჯავშნიან კრეისერისთვის საჭირო ქვაბების აშენებას; 40 აფიცერი სენის ქარხანაშია და ყურს უგდებს ხსენებულ გემების კორპუსების აშენებას და 30 აფიცერიც ჰავრში გამოუგზავნიათ, რათა თვალყური დაიჭირონ იქ 9 კონტრ-ნაღმოსნისა და ჯავშნიან კრეისერის აშენებაზე.

გოძიაძი. მოხალისენი მტრის მთელ ფრონტს აწუხებენ. იაპონიის ჯარები ჩრდილოეთისკენ გაემართნენ. ჩინეთის მკვიდრნი ხელ-ახლა გარბიან ჩვენის მარჯვენა ფრთისაგან.

მალტა, 7 აპრილი. ბრიტანიის კრეისერი „ვენუს"-ი კრიტოსში წავიდა; იქითკენვე გამგზავრება ხვალ კრეისერი „დიანა". გემების გაგზავნა გამოწვეულია კრიტოსზე მომხდარ

რომი, 7 აპრილი. სასწავლებლებში მოისპო მღელვარება. დირექტორი დროებით დაითხოვა. ქალაქის საბჭომ გულ-მტკივნეულება გამოუცხადა მასწავლებელთ და მოუწოდა მკვიდრთ, დაწყნარდით და მშვიდობიანობა ჩამოაგდეთო. პოლიციამ აღმოაჩინა მაზრაში აგრარული მოძრაობა. ერთ სოფელში ორი გლეხი დააპატიმრეს.

ბერლინი, 7 აპრილი. ოფიციალური გაზეთი „ზიუდ-დოიტშე-რეიხ კორესპონდენტი" კატეგორიულად არღვევს „ტან"-ისა და „ფიგარო"-ს ცნობებს იმას შესახებ, ვითომც სახელმწიფოებს ურთი განეცხადებინოთ გარმანიის წინადადებაზე, რომელიც მაროკოს კითხვების გადასაწყვეტად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას შეეხებოდა. გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, ჯერ საგვალდებულო ხასიათის განცხადება არ არის კონფერენციის საკითხის შესახებო. ეს იდეა, როგორც სჩანს, არ ეჭაშნიკათ საფრანგეთის გაზეთებს, რისთვისაც მის ოფიციალურ გამოქვეყნებამდე უკვე მიწას მიაბარეს იგიო.

კიევი, 4 აპრილი. გუშინ, დილის 4 საათზე, ფასტოვის სადგურზე, ერთმანეთს დაეჯახნენ საქონლის მატარებლები. დაიმტვრა 6 ვაგონი. დაზიანდნენ ორთქლ-მავლები და დაიჭრა მთავარი კონდუქტორი. გზა ამოქოლილია. სამანევროდ გამოყვანილ მატარებლის მემანქანეს დასძინებოდა, რადგანაც ის მეტის-მეტად დაქანცული ყოფილიყო, და გასცდენოდა სემაფორს, რომელიც გახსნილი ყოფილიყო საქონლის მატარებლისთვის.

თემირ-ხან-შურა, 7 აპრილი. სოფ. ადილ-ბუიუნის გლეხ-კაცები თავის ნებაზე ხნავენ იმ მიწას, რომელიც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სოფ. ტარკის გადაეცა. ოლქის უფროსის თანაშემწემ ვერ გაარიგა საქმე. 1 აპრილს გამოიწვიეს დაღესტნის პოლკის ერთი სოტნა. ადილ-ბუიუნელები დაბრუნდნენ თავიანთ სოფელში. არეულობაში მონაწილეობას 168 კაცი და ქალი იღებდა, რომელნიც შეიარაღებულნი იყვნენ ხანჯლებით, რევოლვერებით, თოფებით და კეტებით. ესენი იქვე ადილ-ბუიუნიდან იყვნენ; ტარკიდან კი 2000 კაცი და ქალი იყვნენ და ესენიც თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი. შეტაკება არ მომხდარა.

პარიზი, 7 აპრილი. „ნიუ-იორკ-ჰერალდ"-ი იუწყება, მალტაში დაჟინებით ამბობენ, კრიტოსზე პრინცი გიორგი მოჰკლესო.

ასხაბადი, 7 აპრილი. კუშკაში მოკვდა ხოლერით ავადმყოფი. ჰფიქრობენ, ხოლერა კავკასიიდან არის შემოტანილი, რადგანაც იმ ავადმყოფ ქალს მუშა-სომხების თეთრეული ურეცხია და ესენი კავკასიიდან ყოფილან მოსულნი. კომენდანტს ებრძანა გახსნას სახოლერო საავადმყოფო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

7 აპრილი

პეტერბურგი, 8 აპრილი. დღის პირველის ნახევარ საათზე წმ. სპირიდონის სობოროში პარაკლისს გადაიხდიან, რათა მშვიდობიანად იმოგზაურონ გემებმა შორეულ აღმოსავლეთში და დღეგრძელობა მიანიჭოთ მეზღვაურთ.

ლონდონი. „მორნინგ პოსტ"-ი ამბობს, იაპონელებს შეუძლიათ ენდონ თავიანთ ფლოტს, მაგრამ ტოგოსა და როჟესტვენსკის შეტაკება ხუმრობა საქმე არ არისო. ტოგოს ფლოტის ძალა არც ისე სჯარბობს რუსისას და ის უნდა მოერიდოს ყოველსავე რისკს, რადგანაც იმნაირ სტრატეგიულ მდგომარეობაშია ჩამდგარი; ის უნდა მოერიდოს აგრეთვე ისეთს გენერალურ ბრძოლას, რომლის დროს იაპონიის გემები თუმცა გაიმარჯვებენ, მაგრამ ძლიერ დაზიანდებიან, რადგანაც რუსეთს შეძლება მიეცემა გაგზავნოს შორეულ აღმოსავლეთში დანარჩენი გემები და მით იქ გამეფდესო.

8 აპრილი.

ვაშინგტონი, 7 აპრილი. ადმირალ ტრეინს, რომელიც ფილიპინის კუნძულებთან მყოფ ამერიკის ესკადრის სარდალია, ინსტრუქციები გაეგზავნა, რომლებშიაც ბრძანებაა, აუკრძალონ რუსებს ფილიპინების კუნძულებზე რაიმე ბაზის გაკეთება და ნება არ მისცენ მათ, დაარღვიონ „ნეიტრალიტეტი".

სოფია. სტუდენტების უკმაყოფილებისა და დემონსტრაციების გამო, თუმცა კი შემოიღეს ახალი წესები, მაგრამ ყველაფერი უწინდებურად დარჩა. სოციალისტები თხოულობენ, პოლიტიკურ ასოციაციებისა და აკადემიურ სრულს თავისუფლებას. სტუდენტების მეტმა ნაწილმა ობსტრუქცია იხმარა პროფესორების წინააღმდეგ. ლექციების კითხვა შეუძლებელი შეიქნა. მეცადინეობა შეწყვეტილია. სტუდენტები დაეცნენ „ვეჩერნაია პოშტა"-ს რედაქციას, ჩალე-

საბჭოს სხდომა აქვს, როგორი ზომები გიხმარონ, ვინაიდან უფროს კურსების სტუდენტებს სწავლის განგრძობა სურთო.

ტამბოვი. დაიბეჭდა გუბერნატორის დადგენილება, ტამბოვის ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოების დახურვის შესახებ.

კალკუტა. „დეილი ექსპრეს"-ს გაუგია სარწმუნო წყაროებიდან, ინდოეთის ჯარების მთავარ-სარდალმა, ლორდმა კიტჩენერმა, გადასწყვიტა, თავი დაანებოს სამსახურს, თუ ინდოეთის საქმეების უმაღლეს საბჭოს სამხედრო წევრის ედისის ვალდებულებანი არ იქნებიან განსაზღვრული ინდოის არმიის საფინანსო და სადმინისტრაციო საქმეებითო.

რიგა, 7 აპრილი. ბალტიის პირის მხარეში გლეხების მოძრაობა ჩაქრა ზოგან ჯარის დახმარებით, ზოგან კიდევ მემამულეებთან შეთანხმებით. მოხდა მრავალ-რიცხოვანი კრება გაფიცულ საფაბრიკო მუშებისა, რომელთაც ამოირჩიეს დელეგატები და მიანდეს, გამართონ მოლაპარაკება თავიანთ ადებთან შეთანხმებისა და მუშაობის განახლების შესახებ.

ჰელსინგფორსი, 7 აპრილი. გუშინ განგეს გზით ორთქლ-მავალი გემ „ავსტრია"-თი 400 ემიგრანტი წავიდა საზღვარ-გარეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედება. საიგონიდან იუწყებიან 6 აპრილის თარიღით, რუსის ესკადრა კამრანის ბუხტაში იდგაო. ტოკიოში ცნობა მიუღიათ, რუსის ესკადრა კამრანის ბუხტაში დგას და ნეიტრალურ გემებს ათვალიერებსო. იაპონიას ფორმალური პროტესტი წარუდგენია საფრანგეთისათვის, რუსის გემებს კამრანში დგომის ნებას რად აძლევთო.

იაპონიის ფლოტის მოქმედებაზე არავითარი ცნობა არ მოსულა.

მეზღვაურების აზრი მომავალ საზღვაო ბრძოლაზე. „რუს"-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: გერმანელ მეზღვაურთა წრეებს მეტად უიმედოდ მიაჩნიათ ადმ. როჟესტვენსკის მდგომარეობა. იაპონიის ფლოტი, იმათის აზრით, მშვენივრადაა დამზადებული საბრძოლველად; უეჭველად, იაპონელები გაიმარჯვებენო.

„რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველსაც არა აქვს იმედი ადმ. როჟესტვენსკის გამარჯვებისა. მიმომხილველი სწერს: „ადმ. როჟესტვენსკი მეტად მძიმე საქმეს შეუდგა. არა მგონია, რომ თვით ადმ. ნელსონსაც (განთქმული ინგლისელი ადმირალი იყო) შეჰხვედროდეს როდესმე ასეთი მძიმე საქმე. ადმ. ტოგოს დიდი უპირატესობა აქვს, იაპონიის ფლოტი ფორმოზასთან თავის სახლშია, კარგად შესწავლილ ზღვაში და ორი რიგიანად დამზადებული პორტი აქვს ხელთ: კილუნგი—ფორმოზას აღმოსავლეთ მხარეს და პენგუ—პესკადორის კუნძულებზე, ფორმოზას სრუტეში; ადმ. ტოგოს ერთი ორად მეტი კრეისერი ჰყავს, ვიდრე როჟესტვენსკის (19 კრეისერი 8 წინააღმდეგ ნაღმიანი გემი თითქმის ერთი ხუთად მეტი ჰყავს (45 ნაღმიან გემზე არა ნაკლები 7-9 წინააღმდეგ). მერე, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას 20 მენახშირე გემი მისდევს და სიარულს უშლის, ადმ. ტოგოს-კი არც ერთი მენახშირე გემი არ ჰყავს მეტ ბარგად· იმისი ესკადრა უფრო მარდია და, უეჭველია, საათში ორის მილით მეტს მაინც გადის: იაპონიის ესკადრა საშუალოდ 14 მილს გადის საათში, რუსის—12 მილს; ამიტომ ადმ. ტოგო ისე მოიქცევა, როგორც უჯობს, მუდამ უკეთ ეცოდინება მტრის ამბავი, როცა სასარგებლოდ არ დაინახავს, ბრძოლას მოერიდება, თავის ესკადრის სწრაფი მავლობისა და ერთ გვარობის მეოხებით, უფრო სწრაფად და ადვილად შეასრულებს მანევრებს და ისეთ გარემოებაში შეებრძოლება რუსებს, როგორსაც საუკეთესოდ დაინახავს. მართალია ადმ. როჟესტვენსკის 7 ჯავშნიანი გემი ჰყავს, ადმ. ტოგოს მარტო 5, მაგრამ ეს უპირატესობა ნამდვილად მხოლოდ საშიში ილიუზიაა და ვერაფერ სარგებლობას ვერ მოუტანს რუსის ესკადრას. დიდ ბრძოლაში, უეჭველია, იაპონიის 8 ჯავშნიანი კრეისერიც მიიღებს მონაწილეობას; ამ კრეისერებს ჯავშანიც სქელი აკრავთ, ზარბაზნებიც კარგი აქვთ, ასე რომ ადმ. ტოგოს დიდ ბრძოლის დროს 13 მებრძოლი გემი ეყოლება, რუსებს-კი მხოლოდ 7, ერთის სიტყვით, მომავალ ბრძოლის დროს რუსის ესკადრის ძლიერების იმედს ვერ ვიქონიებთ, მხოლოდ ადმ. როჟესტვენსკის ხელოვნებისა და ბედისა, რუსის

ტილერისტების მარჯვე სროლის იმედი უნდა ვიქონიოთ".

მიმომხილველი ჰფიქრობს, ბრძოლა მალე უნდა მოხდესო და ძლიერ უკვირს, რატომ ადმ. იესენის კრეისერები („გრომობოი" და „როსია", „ბოგატირი" ჯერ შეკეთებული არაა) ვლადივოსტოკიდან არ გავლენ, იაპონელებს არ დაეცემიან და ადმ. როჟესტვენსკის მძიმე საქმეს არ გაუადვილებენო.

ზოგი ჰფიქრობს ადმ. როჟესტვენსკი ყოველნაირად მოერიდება იაპონიის ფლოტთან ბრძოლას და ეცდება, როგორმე ვლადივოსტოკს მიიყვანოს თავისი ფლოტიო, ნახევარიც რომ მიიყვანოს—ესეც დიდი საქმე იქმნებაო. ცნობილი გერმანელი პოლკოვნიკი გედკე ჰფიქრობს, უბრძოლველად მისვლა ვლადივოსტოკს შეცდომა იქმნებაო. ვლადივოსტოკში უბრძოლველად შეპარება ცუდად იმოქმედებს თითონ ადმ. როჟესტვენსკისა და იმის მეზღვაურებზეო, ყველას გულს გაუტეხს და მხნეობას დაუკარგავსო. ამიტომ, გედკეს აზრით, ადმ. როჟესტვენსკიმ თითონ უნდა ეცადოს მტრის ფლოტთან შეხვედრას, უსათუოდ შეებრძოლოს, ან დაიღუპოს, ან გაიმარჯვოს. თუ რუსის ფლოტი გაიმარჯვებს, ომის საქმე სულ სხვანაირად დატრიალდება და თუ კიდევ იაპონიის ფლოტი გაიმარჯვებს, მაშინ რუსეთი საბოლოოდ წააგებს საქმეს და უიმედო ომის გაგრძელებას საზარალო შერიგება უნდა არჩიოს.

„ნ. ფრ. პრესე"-ს სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, იქნება ზღვაზე ბრძოლა სულაც არ მოხდეს, იქნება ადმ. ტოგომ არც კი დაუწყოს ძებნა რუსის ფლოტს უსაზღვრო, თვალგადაუწვდენელ ოკეანეში და უბრძოლველად, თავისუფლად გაუშვას ვლადივოსტოკსაო; ადმ. ტოგოს საშური არა აქვს რა: რამდენიც მეტს მანძილს გაივლის რუსის ესკადრა, იმდენი უფრო დააკლდება ბრძოლის უნარი. რუსის ფლოტი ვლადივოსტოკს ზივა და ომიც იქ დასრულდებაო. („ო. ნ.")

შუა მანჯურიაში. ახალ დეპეშებიდან სჩანს, რომ იაპონელები წინ გალაშქრებას განაგრძობენ, რუსები ჩრდილოეთისაკენ იხევენ.

„რუს-"ს დეპეშით ატყობინებენ ხარბინიდან 1 აპრილის თარიღით: იაპონელების მარჯვენა ფრთა წინ მიდის ჩრდილოეთისაკენაო.

სამხედრო მიმომხილველების უმეტესობა იმ აზრისაა, რომ იაპონიის ჯარი ხარბინამდე ავა და უსათუოდ აიღებს ხარბინსაო. ზოგიერთი მიმომხილველი არ ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, რომ იაპონელები ასეთ დიდ მანძილზე არ მოჰშორდებიან თავიანთ ბაზას და ხარბინამდე არ ავლენო. მუკდენისა და ტელინის აღებით, იაპონელებმა მთელი სამხრეთი მანჯურია ხელში ჩაიგდეს და ომიც სამუდამოდ მოიგესო, თუ ომი გაგრძელდება, იაპონელებს ურჩევნიათ ტელინს ახლო ებრძოლონ რუსებს, ვიდრე შორს სადმე ხარბინთან; დაე თითონ რუსებმა ზიდონ შუა მანჯურიაში ჯარი, სამხედრო სურსათი და საჭმელიო. მართალია იაპონელებმა თითონ დაყარეს ხმა, 28 მარტს ხარბინსა და გირინს ავიღებთო, მაგრამ ამით მხოლოდ რუსების შეშინება უნდოდათ, ნამდვილად კი მარშალ ოიამას [illegible]ნისაკენ გალაშქრება, ჯერ-ჯერობით მაინც, ფიქრადაც არ მოსვლია. ჯერ კიდევ ეცდება ორჯელ ან ერთჯელ მაინც დაამარცხოს რუსის ჯარი და თუ კიდევ შერიგება არ მოხდა, მაშინ კი შეიძლება, ხარბინამდე ავიდესო. ვნახოთ, რამდენათ გამართლდება ეს აზრი. („პ. ვ.").

ვლადივოსტოკი. რუსულ გაზ. „ბაიკალ"-ს ვლადივოსტოკიდან ატყობინებენ: კრეისერი „გრომობოი" დოკიდან გავიდა და „როსია"-ს გვერდზე დადგა. ამას წინად ვლადივოსტოკის წინ ზღვაზე იაპონიის 25 ნაღმიანი და 1 სატრანსპორტო გემი გამოჩნდა. იაპონელები, ალბად, აქაც ნაღმების სროლას მოჰყვებიანო.

ყველა მხრიდან იუწყებიან, იაპონიის ჯარი ვლადივოსტოკის ასაღებად მიდის, ხმაც კი დაყარეს, ვლადივოსტოკს გზაც მოუჭრესო, მაგრამ ბევრს არა სჯერა, რომ იაპონელებმა ეხლავე ალყა შემოარტყან ვლადივოსტოკს. ცნობილ პოლკოვნიკ გედკეს აზრით, იაპონელები ეცდებიან, ჯერ კიდევ ორჯელ, ან ერთხელ მაინც დაამარცხონ რუსის უმთავრესი ჯარი მანჯურიაში და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებიან ვლადი-

იაპონელ მოღვაწის აზრი რუსეთზე. „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ლონდონიდან: ცნობილ იაპონელ მოღვაწეს გრაფ ოკუმას უთქვამს: რუსეთი ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოების დროის სახელმწიფოა; იაპონიის გამარჯვება ხელს შეუწყობს რუსის ხალხის განთავისუფლებას, ამიტომ მთელი ქვეყნიერობა უნდა თანაუგრძნობდეს იაპონიასაო.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხელენი ჩვენში.

გუშინწინდელ ნომერში „მეჟევოი სბორნიკ"-ის ერთი წერილიდან გვქონდა ამოღებული პატარა ადგილი, სადაც პირდაპირ იყო ნათქვამი: „ხაზინამ ისე წაიყვანა გამიჯვნის საქმე კავკასიაში, თითქოს მის მეტს აქ არავის არავითარი მამული არ ჰქონია"-ო.

იმავ ნომერში დაბეჭდილი იყო „ლაგოდეხელ ქართველ გლეხების თავ-გადასავალი".

„ნოვოე ობოზრ."-ეს გუშინწინდელსავე ნომერში მოთავსებული იყო დ. კ—ის წერილი—„შირაქის საქმის გამო".

სხვა საბუთებიც რომ არ იყოს, მარტო ეს მასალა კმარა მიწათ-მოქმედების მოხელეთა „ნაყოფიერ" მოქმედების დასახასიათებლად ჩვენში.

რუსი მწერალი, სპეციალურ რუსულ ორგანოში საჯაროდ აცხადებს: მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგენტები ყოველ ღონეს ღონობენ, არავითარ საშუალებას არ უხვევენ გვერდს, რომ მკვიდრთა ადგილ-მამულს დაეპატრონონ, პატრონები მშრალზედ დასვან. ამასთან ისიც ვიცით ქუთაისის გუბერნიის მარშლის მოხსენებიდან მინისტრთა კომიტეტისადმი, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხელეთ ენერგიულ შემწეობას აძლევდნენ იუსტიციის, ე. ი. სასამართლოს სამინისტროს მოხელენიც...

ლაგოდეხელ ქართველ გლეხების ამბავი მთელი ოდისეაა საერთოდ ყველა ქართველ უმიწაწყლო გლეხისა.

„განათავისუფლეს" ქართველი გლეხი ბატონისაგან, მაგრამ ისევ ყმად მიუჩინეს—ადგილ-მამული ბატონს დარჩა. მთელი ორი თაობა ითმინა გაჭირვებული მდგომარეობა გლეხობამ; რიცხვით გამრავლდა და კიდევ უარესს ყოფაში ჩავარდა.

ზოგი ქალაქს ეცა; ზოგიც თავისუფალ ადგილების ძებნას შეუდგა ახალ ბინის გასაკეთებლად: ეგონა, ჩემთვისაც იქნება ადგილი ჩემის ოფლითა და სისხლით მორწყულ ტერიტორიაზედო, მაგრამ...

მაგრამ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხელეთ რითი უნდა გამოიჩინონ თავი, თუ ჩვენის გლეხის შევიწროვებით—არსად ადგილი არ მისცეს, და თუ დროებით დაასახლეს სადმე, როგორც ლაგოდეხელი გლეხები, რუსეთიდან გადმოსახლებულებს მისცეს ყმებად. ლაგოდეხში ნამდვილი ბატონყმობა გააჩინეს: მოსული ბატონია და მკვიდრი—ყმა, რომელსაც ცხრა ტყავს აძრობენ.

ქართველ გლეხის მოთმინებასაც ხომ საზღვარი აქვს: მოხელეთაგან რამდენჯერმე მოტყუილებულმა, ახალ ბატონებისაგან გადატყავებულ-ნაცემმა გლეხმა რომ იარაღს ხელი მოჰკიდოს და სთქვას—ხომ ვიღუპები და გულის ჯავრს მაინც ამოვიყრიო, რა პასუხი უნდა გასცენ ნამდვილ პასუხის მგებლებმა?

შეიძლება არც ეს ეწყინოთ—ახალ საბუთად გამოიყენონ და, სადაც ჯერ არს, მოახსენონ: ქართველი გლეხი ველურია, რუსის მეზობლობა ვერ აუტანია და მის დასაწყნარებლად ჯარი და იარაღია საჭიროო. მოგებული ისევ ეს ვაჟბატონები დარჩებიან და უნდა დაიღუპნენ უსამართლოდ დევნილი ქართველი გლეხები და ის უდანაშაულო უვიცი რუსის გლეხები, რომელნიც გააბრიყვა და მტარვალებად აქცია უსამართლო ქომაგობამ და დახმარებამ.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხელენი ასეთ ფაქტების შემდეგაც გამოდიან და გაზეთის ფურცლებზე სცდილობენ დაამტკიცონ—იმ თავითვე ჩვენი საზრუნავი საგანი იყო ქართველების კეთილდღეობაო.

ამას წინად ჩვენ გაზეთში ლაპარაკი იყო შირაქის ველის გამო: ქართველი მთიულები უმწეოდ დაიღუპებიან და განზრახვა კი აქვთ აქაც რუსის სოფლები გააშენონო.

ჩვენის გაზეთის წერილმა პასუხი გამოიწვია გაზეთ „კავკაზ"-ში (№ 61). ოფიციალური გაზეთი ოფიციალურად ამტკიცებდა: 1. რუსის მთავრობის დამყარებამდე საქართველოში მთის ქართველებს არ უსარგებლნიათ შირაქის ველით; მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჭარი და განჯა დაიპყრეს რუსებმა, ძლიერ მთავრობის მფარველობის ქვეშ მთის ქართველებმა დაიკავეს თავიანთ ცხვრისათვის უფრო და უფრო მეტი ადგილი და დღეს 112.610 დესიატინა უკავიათო;

2. შირაქის ველზე რუს გლეხების გადმოსახლებას არ ჰფიქრობენ და ამის შიში არავის არ უნდა ჰქონდესო.

გულუბრყვილო მკითხველი ყველა ამას დაიჯერებდა, რასაკვირველია, და გულდამშვიდებული იქნებოდა მთის ქართველების მდგომარეობის გამო. მაგრამ დ. კ.—ის საბუთები გულუბრყვილოსაც სკეპტიკად გახდის:

1. ტყუილია, ვითომც მთის ქართველებს შირაქით არ ესარგებლნოს რუსების მოსვლამდე: არის 1712 წლის უტყუარი ისტორიული დოკუმენტი, უკვე დაბეჭდილი, რომელიც სულ წინააღმდეგს ამტკიცებს.

2. ტყუილია, ვითომც მოხელენი ყოველთვის ზრუნავდნენ მთის ქართველებისათვის: „როცა სანარი (შირაქში) განთავისუფლდა საფაროვის იჯარისაგან, სიღნაღის მცხოვრებთ და მთის ქართველებმა სთხოვეს საერთო სახმარებლად; მთავრობამ უარი უთხრა და მიწა რუსეთიდან გადმოსახლებულთ მიუზომეს (ეს ფაქტი ერთია სხვა მრავალთა შორის)".

3. ტყუილია, ვითომ განზრახვა არ ჰქონდეთ რუსეთიდან გადმოსახლებულები დაასახლონ შირაქში, რომელიც დღეს საძოვრად აქვთ მთის ქართველებს. „შირაქის პლატო 70 ათასი დესიატინაა, იგი ერთად ერთი საძოვარია მთელ შირაქში გაზაფხულსა და შემოდგომაზე; გადაწყვეტილია, რომ რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის მოსჭრან ამ საძოვარს 20 ათასი დესიატინა მიწა. ეს გადაწყვეტილება უკვე შეატყობინა მომრიგებელმა შუამავალმა მთის ქართველებს, რომელთაც დაუყოვნებლივ უნდა წარედგინათ წერილობითი საბუთები ამ საქმის შესახებ, რაც ზოგმა აასრულა კიდეც".

მეტი საბუთი-ღა გინდათ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხელეთა მუდმივ „მზრუნველობისა" და სიმართლის მოყვარეობისა?

ხალხი ხედავს, რომ, ქოთნისა და მექოთნის არ იყოს, მოხელეც იქით უზამს პირს „კანონს", საითაც უნდა, და განა უნდა გვიკვირდეს, რომ „ლოღიკამ ხალხი სახელმწიფოს კანონების უპატივცემულობამდე მიიყვანა?"

ბაასი

VII

ნამეტანიაო, ამბობენ დადინჯებულნი, ცხოვრების დუხჭირობის მნახველნი. არც ისე უნდა თავის აგდება. ნუ დაივიწყებთ ბრძნულს ანდაზას: დედის წინ მტომარე კვიცს ან მგელი შესჭამს, ან მგლის მზგავსიო. მართალია, ლომი ვერაა კაი გუნებაზე, ტკივილები აწუხებს, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც ლომია. ისე როგორ დაძაბუნდება, რომ ერთხელაც არის მძლავრად, ძველებურად ტოტი არ მოიქნიოს და ვაი მაშინ თავწასულ ვირთხებს, მუცლის გვრემით დაავადებულს ლომს კუდსა და ფაფარზე რომ ბრიყვულად და უკადრავად ახტებიან. სხვა არა იყოს-რა, საკმარისად სიროგბასაც ვერ იშოვნიან უცბადაო.

რაო ახლა, მღვდლები რომ არ ატეხილიყვნენ და წარმშეუხრელად, პირდაპირ, ავტოკეფალია და კათოლიკოსი არ მოეთხოვათ, განა არ ეყოფოდათ მოეთხოვათ ჯამაგირების მომატება, „ჩხილიშჩეზში" ქართულის მომატება, ათვალწუნებულ ეპისკოპოზის მაგიერ ვინმე ღვთისნიერი ბერი, გორის ვიკარად ქართულის მცოდნე ბერი და სხვა ამისი მზგავსი. ბიუროკრატიაც ამ გაჭირვების დროს კმაყოფილი დარჩებოდა, რადგან აუხნიან ბავშვივით გულს არ გაუწვრილებდით და ჩვენც ნელ-ნელა ჩვენს ეროვნულს იდეალს განვიხორციელებდითო. ჰო, დედაშვილობამ, ასე ემჯობინებოდა, თორემ ვინ იცის, წუთი სოფელი ქრელიაო.

ან კიდევ ატეხილან, გინდა თუ არა ავტონომია, უმაგისოდ სიცოცხლე არ შეგვიძლიაო. დალოცვილებო, რა დროს ავტონომიაა, ჯერ ის მოვითხოვოთ, რასაც რუსეთი უხოულობს და მერე თუ დარი დაგვიდგეს, ე ავტონომია სა ჯანაბას წავა. ვითხოვთ და მოგვანიჭებენო. ნუ გავიწყდებათ, საქართველოს ძველებურად მტერი ახვევია გარსა და თუ ერთი შეიშმუშნა, თვალის დახამხამების უმალ ქართველობას ბდღვირს აადენსო.

დღევანდელმა ცხოვრებამ მე სულ სხვა გუნებაზე დამაყენა. სრულიად უგუნური უნდა იყვეს მეზობელი, რომ დღევანდელ დღეს ხელი გამოიღოს და სამტროდ ამხედრდეს. განა მისი გზა-კვალი ია-ვარდითაა მოფენილი, განა იგი კი არ იფლეთავს ტანისამოსს ეკლიან ღობეზე, განა მისი სული კი არ იხშობა და იხურება დამყაყებულ ჰაერით? ოღონდაც რომ იგიცაა დაღუღუდებული ქინქრითა და ნარეკალათი. მაშ რა ადგილი აქვს შიშსა—მეზობელი ბედს გაკვიმწარებს და განთიადს წყვდიადად გარდაჰქმნისო? ღმერთმა ნუ ჰქნას და თუ მაინცა და მაინც თითო ოროლას გაუწყრება ჩემი გამჩენი და უკუღმართობის გზას დაადგება, ნუ თუ ავტონომიისა და ავტოკეფალიის მთხოვნელ ერს არ მოეპოვება ლაზათიანად გაჭედილი ალვირლაგამი უკეთურის ასალაგმად და თავლაში დასაბმელად? ოღონდაც რომ მოიპოვება.

ამის ნიშნებს კიდევაც ვხედავთ და ღმერთმა ჰქნას, რომ ლაგამი მართლა და უკეთურსა და უკუღმართს დაადვან პირზე და არა ერის ბედნიერების მოტრფიალეს, რა ფერის ჩოხაც უნდა ეცვას ამ მოტრფიალეს.

კერძოდ მე სხვა შიში მაქვს, ვაი თუ ცხოვრებას ჩამოვრჩე, ვერ დავეწიო და გავირიყო. ეს დალოცვილი გარდაქეშანივით მიფრინავს წინ და რა ეშმაკი დაეწევა? ინტელიგენტების უმრავლესობას თავი მოგვქონდა, ქვეყნის მარილად მიგვაჩნდა თავი, მაგრამ მარილს მარილობა ჰკლებია. ამოძრავდა უხილავი ძალა, ტალღას ტალღებზე ისვრის და შესაფერს კალაპოტს ეძებს წესიერის წინმსვლელობისთვის. ადვილი არაა ამ ძალის კალაპოტში ჩაყენება.

დიახ, იმას მოგახსენებდით, გუშინ ვინ მოიფიქრებდა, თუ დღეს ასეთი დღე დადგებოდა. ერთი თვე არ გასულა მას აქეთ, რაც ფრთხილად, ჩურჩულით საუბრობდნენ და მანილოვსავით ოცნებობდნენ—რა კარგი იქნება ავტონომია რომ მოგვცენო. პეტიციებს რომ აგზავნიდნენ, ავტონომია ვერც-კი ახსენეს—ეს ნამეტანია, როგორ შეიძლება მაგ აკრძალულ სიტყვის ხმარებაო. საქართველოს ისტორიულ უფლებაზე რომ ჩამოაგდეს საუბარი, მთქმელი სიბრალულით მოიხსენიეს, საწყალი არქაიზმებს გამოსდგომია და თანამედროვე ცხოვრების მაჯის ძლიერი ცემა გამოჰპარვიაო. განვლო რაღაც ერთმა თვემ და აგერ ქვეყანას აუწყეს საქართველოს უნდა და უფლებაცა აქვს მოითხოვოს რაც ეკუთვნის.

ახლა ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს.

ა. —ლი

სოფლად

აძვი (ქართლი). აქაც ამოიღო ხალხმა ხმა თავის ჭირ-ვარამზედ. თუმცა აქაურებს ცუდი არა ჩაუდენიათ რა, არც დაუწვავთ, არც არაფერი დაუნგრევიათ და არც არავინ მოუკლავთ, მაგრამ მაინც ადმინისტრაციამ აზნაურ ხმალაძეების და დიდებულიძის თხოვნით გამოგზავნა ასი ყაზახი და ჩაგვიყენა სოფელში. რა თქმა უნდა, ასს ყაზახ-რუსის შენახვა იაფად არ დაჯდება. ერთ საწყალ მოხუც დედაკაცს ჰყავდა ერთად-ერთი ძროხა, რომელსაც უვლიდა შვილივით, იმის მეტი არა გააჩნდა რა. საწყალი თავის ლუკმასაც-კი იმას აჭმევდა. არც ამ დედაკაცს შეარჩინეს ეს ბედნიერება. დაუკლეს ეს ერთად-ერთი შვილივით გაზრდილი და მისი მარჩენელი ძროხა.

საწყალი ჩამოეკიდა ძროხას კისერზედ ტირილით დაკვლის დროს, მაგრამ მის ტირილს და ხვეწნას ყური არავინ ათხოვა. ერთი ორი მათრახი იმასაც გადაუჭირეს და ისე გააგდეს. ასეთი სიკეთე უყვეს სოფელს ხმალაძეებმა.

აქაური.

ერწო (თიანეთის მაზრა). მარტის დამდეგს ერწოს მცხოვრებთ კრება ჰქონდათ თავიანთ ჭირ-ვარამის შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებას დაესწრო რვაას კაცამდე. გლეხთა ლაპარაკის დროს უცებ გამოჩნდა ყაზახ-რუსთა ჯგუფი. ხალხს ეგონა, მაზრის უფროსი მოდის მოთხოვნილების შესატყობადაო, ამიტომ დამშვიდებული დარჩა თავის ადგილას. თიანეთის ბოქაულს კოიუმჩიბაშევს წინა დღითვე გაეგო, რომ ამა და ამ ადგილს მოხდება გლეხთა კრებაო. როდესაც ყაზახები მოვიდნენ, ბოქაულმა უბრძანა ყაზახებს, შემოჰხვეოდნენ ხალხს ირგვლივ. ყაზახები დაერივნენ ამ უიარაღო ხალხს. როგორც ამბობენ, მოკლულ იქმნა 4 კაცი, 8 მძიმედ დაიჭრა, 6 მსუბუქად. ყაზახთა შორი არავინ აღმოჩნდა დაზიანებული.

ჩახმახი.

კახეთი. ყველა სოფლის გლეხ-კაცობა ამ ჟამად შეკავშირებულია, ერთის მისწრაფებით არის გამსჭვალული. არ არის ისეთი სოფელი, რომლის ყურსაც არ მიჰწვდოდეს „ძმობა ერთობა". ყველას რაღაც სიცოცხლის ნიშან-წყალი ეტყობა, ყველა მოქმედებს, ყველას ძარღვებში სიცოცხლე სჩქეფს და გადმოდის. საკმარისია კვირა ან უქმე დღე, რომ მთელმა სოფელმა ერთად მოიყაროს თავი და იქონიოს ბჭობა თავის ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. 3 აპრილს სოფ. ფშაველში თავი მოიყარეს ამ სოფლის გლეხკაცებმა, შეიმუშავეს პირობები და ხელი მოაწერინეს ადგილობრივ მცხოვრებთ ბაბადიშვილებს. ამას გარდა ხალხმა სჯა-ბაასი იქონია თავის ცხოვრების ჭირ-ვარამზე, მოილაპარაკა და შეიმუშავა მოთხოვნილებანი. ეს მოთხოვნილებანი ისეთივეა, როგორც სხვა სოფლებში, სახელდობრ: 1) მოისპოს დროებით ვალდებულება და მათი ნადელები მიეცეთ საკუთრებად, სახაზინო და საეკლესიო მამულები მიეცეთ გლეხებს საკუთრებად, აგრეთვე ტყეები, მოისპოს კოდის პური მღვდლის სასარგებლოდ და სხვა გადასახადი, ეკკლესიის კრებული იმან შეინახოს, ვისაც უნდა და სხვა.

სოფ. კალაურში საქმის დღე—ორშაბათი გააუქმეს, ზარები დარეკეს. ყველას წინდაწინვე შეატყობინეს, რომ ხვალე საქმეზე წასვლა არავინ გაბედოს, ჩვენც უნდა დავიწყოთ ახალი ცხოვრება, გვეყო ამდენი გაჩუმება და ფეხ-ქვეშ გაგებაო. ორშაბათს სოფელი ეკლესიასთან შეიყარა, ერივნენ დედა-კაცებიც. მოხელეები უნდა განეძევათ, მაგრამ ნაცვალმა უთხრა, მეც თქვენი ძმა ვარ, აღარ მინდა ნაცვლობაო. მოიწვიეს მღვდელი და ყველამ ჯვარ-სახარებაზე დაიფიცა. მერე ხელი მოაწერეს და ძმობა-ერთობა და ერთად მოქმედება აღუთქვეს ერთმანეთს. უარი თქვეს ეხლანდელ სასამართლოზე, აღარ გვინდა იგი, ჩვენ ჩვენ თავს უნდა მოუაროთო, ამოირჩიეს ათის თავები და მათ უფროსად ასის თავები, რომელთაც უნდა განაგონ სოფლის საქმეები. ამას გარდა უარი სთქვეს, აღარ გადავიხდით მოხელეებზე იმ ხარჯებს, რომლებსაც ძალად გვახდევინებდნენო. მერე დიდი ხანი იბაასეს სკოლაზე: სწავლა უნდა იყოს ქართულ ენაზე და უფასოდ, ისე უნდა მოეწყოს, რომ შევძლოთ სხვა სასწავლებელში შესვლა, როცა აქ გაათავებენო; ხარჯზე—ყველა თანასწორად იხდიდეს მიწის ხარჯს და მონაწილეობას იღებდეს სასოფლო საქმეში წოდების განურჩევლად და სხვა. ბოლოს დაადგინეს, ჩვენი საჭიროება აღვნუსხოთ ქაღალდზე და წარვუდგინოთ მთავრობასაო. იმ სოფლებსაც ემჩნევა მოძრაობა, რომლებიც აქამდე ჩუმად იყვნენ. მაგ., ს. შალაურის მცხოვრებნი მიხტომიან მღვდელს ეკკლესიაში და გამოუცხადებიათ, ამას იქით აღარაფერს მოგცემთ, მხოლოდ ვისაც ემსახურები: ჯვარს დასწერ—3 მან. მოგცემთ, დაუმარხავ—1 მ., მონათლავ—ორ აბაზსაო. ამას გარდა ამავე სოფლის მემამულეებსაც პირობები შეუდგინეს, ხელი მოაწერინეს,

---

ფელეტონი

ერი და სახელმწიფო.[1]

როცა ერი დამოუკიდებელი და თავისუფალია, როცა ერი ცალკე სახელმწიფოს შეადგენს, ეროვნულ კითხვას ადგილი არა აქვს. ეროვნული კითხვა მაშინ ჩნდება და მაშინ არის თავსამტვრევი საგანი, როცა ერთ სახელმწიფოში რამდენიმე ერი ცხოვრობს და ერთი ამათგანი გაბატონებულია და სხვები-კი დაჩაგრული. მაშასადამე, ეროვნული კითხვა არის იმის კითხვა, თუ როგორი უნდა იქნეს ურთიერთი დამოკიდებულება ერისა და სახელმწიფოსი, რომ ერს შეეძლოს თავისუფალი, ხელ შეუშლელი ყოველმხრივი განვითარება და სახელმწიფო ცხოვრებაც ნორმალურად, შეუფერხებლად მიმდინარეობდეს.

როგორი წარმოდგენა აქვთ დღეს სახელმწიფოსა და ერის ურთი-ერთ დამოკიდებულებაზე პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ მწერლებს?

აქ, რასაკვირველია, მოსაყვანი არ არის ერის გადაგვარების მოტრფიალეთა შეხედულება; ამათთვის ეროვნული კითხვა არც-კი არსებობს: გაბატონებულმა ერმა უნდა ჩაყლაპოს, მოსპოს დამორჩილებული ერები, რომ სახელმწიფოში იყოს მხოლოდ ერთი ხალხი, ერთ ენაზე მოლაპარაკე, გაიძახიან ძალ-მომრეობის მსახურნი და სცდილობენ საქმედ აქციონ თავიანთი გულის ნადები.

ამ ვითომდა „სახელმწიფო იდეის" დამცველთა შეხედულებას თუ არ მივიღებთ სახეში, არსებობს ორი მთავარი წარმოდგენა სახელმწიფოსა და ერის ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

ერთის წარმოდგენით, ეროვნული პრობლემა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ერთ სახელმწიფოში სხვა-და-სხვა ენაზე მოლაპარაკე პირებია და რომ აუცილებელია სახელმწიფო მართვა-გამგეობამ ანგარიში გაუწიოს ამ მოვლენას, ეს მართვა-გამგეობა შეფერებული იყოს მასთან. ამ შეხედულების პოლიტიკოსებისათვის არ არსებობს, პრაქტიკულად მაინც, ერი როგორც ერთი მთელი, როგორც კოლექტიური მთლიანობა; ამიტომ, მათის აზრით, ერი კი არ შედის სახელმწიფოში, არამედ თავის ენაზე მოლაპარაკე პიროვნება; ენასა და კულტურაზე ზრუნვა ერის, როგორც მთელის, უფლება კი არ არის, არამედ წმინდა ინდივიდუალური უფლებაა. ამიტომ ერს, როგორც აგეთს, როგორც მთლიან ჯგუფს, არც არავითარი გავლენა უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე; ეს მართვა-გამგეობა ერთი და განუყოფელი უნდა იქნეს მთელის სახელმწიფოსათვის,—ამტკიცებენ ამ შეხედულების მიმდევარნი.

ეს შეხედულება ერთის მხრივ ატომისტურია, მეორე მხრივ ცენტრალისტური: მხოლოდ პიროვნება ჰყავს სახეში და ამ პიროვნების დამოკიდებულება სახელმწიფოსთან, ერთ ცენტრთან.

სულ სხვა ხასიათისაა მეორე შეხედულება: ერი ერთი მთელია, კოლექტიური მთლიანობაა საკუთარის ინტერესებით; სახელმწიფო პიროვნებათა კრებულს კი არ წარმოადგენს, არამედ ერთა კრებულს; ერია სახელმწიფოს წევრი და არა პიროვნება; სახელმწიფოს პირდაპირ ერთან აქვს საქმე და არა პიროვნებასთან. ამ გვარად ეს შეხედულება ერთის მხრივ კოლექტიურია (ერი ერთ მთელს წარმოადგენს), მეორე მხრივ ფედერალისტური (ერთა კავშირი შეადგენს სახელმწიფოს).

ცენტრალისტური) ეროვნული კითხვა არის კითხვა ენისა და მოხელეობისა: პიროვნება არ უნდა იყოს იძულებული მთავრობისაგან თავისი ენა არ ისწავლოს და სახელმწიფო ენა შეისწავლოს, პიროვნებას უნდა შეეძლოს სამართლის მიღება თავის ენაზე; მთავრობის მოხელე ან იმავ ენაზე მოლაპარაკე უნდა იყოს ან და ენის მცოდნე. ერთის სიტყვით, აქ ეროვნული კითხვა, ეგრე ვსთქვათ, მართვა-გამგეობის ტეხნიური კითხვაა.

სულ სხვაა კოლექტივ-ფედერალისტური შეხედულება: აქ ეროვნული კითხვა პირველად ყოვლისა პოლიტიკური და საკონსტიტუციო კითხვაა, მთელის სახელმწიფო ორგანიზაციის პრობლემა და საგანია.

ეს ორი მთავარი შეხედულება ერთი მეორის წინააღმდეგია, მათი შერიგება შეუძლებელია. მაშინ როდესაც ერთისათვის ერი პიროვნებათა გროვაა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, არა-ორგანიული, მეორესათვის ერი ისტორიულად შექმნილი, ორგანიული კავშირია, რომელსაც შესაფერი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოში.

ერის სახელმწიფოებრივ მდგომარეობის გამორკვევა კი სამ კითხვას იწვევს:

1 როგორი იქმნება კავშირი ერთის ერის შვილებისა, ტერიტორიალური თუ პიროვნულ-ეროვნული;

2. რა უფლებით იქმნება აღჭურვილი ერი, როგორც გამთლიანებული ერთეული, რა კომპეტენცია ექნება მას;

3. როგორი კავშირი უნდა იქნეს ერთა შორის საერთო სახელმწიფოს შესადგენად, როგორ მოეწყობა ფედერაცია?

ამ სამ კითხვაზე პასუხი მაშინ გვექნება, როცა გავეცნობით, თუ როგორ იქმნება ეროვ- [illegible] სა და რა ჰყოფს მას სხვა საზოგადოებრივ კავშირებისაგან.

აქ სხვა-და-სხვა მიმართულებაა; ზოგი ერთ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე, ზოგი მეორეს.

ბევრისთვის ეროვნულ კავშირის სარჩული ტერიტორია არის: ერი ტერიტორიალური კავშირია და არც შეიძლება სხვა საფუძველი ჰქონდეს ამ კავშირსა,—ამტკიცებენ ზოგნი,—და ეჭვს გარეშეა, რომ ეს შეხედულება შედეგია იმ გარემოებისა, რომ ტერიტორიას საზოგადოთ ასე დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ შეუძლებელია ეროვნული ორგანიზაცია მოეწყოს განსაზღვრულ ტერიტორიის ნიადაგზედ: დღეს დიდი მოძრაობაა, გადასახლება-გადმოსახლებაა, სხვა და სხვა ერი ერთმანეთში არეულია; მისვლა-მოსვლის განსაცვიფრებელმა გაადვილებამ დამოუკიდებელი გახადა ადამიანი ტერიტორიიდან. ერი ტერიტორიაზე დამყარებული და ტერიტორიით შეერთებული კავშირი კი არ არის, არამედ პიროვნულ-ეროვნული, ტერიტორიისაგან დამოუკიდებელი. თუ ეროვნული საქმე ასე არ გავიგეთ, იგი მუდამ გადაუწყვეტელი დარჩებაო. მართლაც, სადაც გამწვავებული ბრძოლაა ერთა შორის, ბრძოლის მუდმივი საგანი ტერიტორია არის, და ეს ბრძოლის საგანი უნდა მოვიშოროთ თავიდან, თუ გვსურს, რომ ეროვნული საქმე როგორმე გადაწყდეს. ერი უნდა გვესმოდეს როგორც წმინდა პიროვნულ-ეროვნული კავშირი; ერს უნდა ჰქონდეს სრული კანონმდებლობა და თვით-მმართველობა; ამ კანონმდებლობასა და თვითმმართველობაში იღებს მონაწილეობას ერის ყოველი შვილი იმის მიუხედავად, სადაც

ამ სისტემის მიხედვით სახელმწიფოს ყველა ფუნქციები ორად იყოფა: ერთი ნაწილი ეკუთვნის ერის კომპეტენციას და უფლებას, მეორე—სახელმწიფოსას; ამ გვარად ერი არის უტერიტორიო სახელმწიფო სახელმწიფოში, სახელმწიფო უნდა იქნეს ერთა ფედერაცია და არა ქვეყნების ან მხარეების ფედერაცია.

ამ გვარად ერისა და სახელმწიფოს ურთიერთ დამოკიდებულებაზე არსებობს შემდეგი შეხედულებანი:

I. ატომისტურ-ცენტრალისტური—ერი პიროვნებათა გროვაა შეუმარებელი, განუ ფელ სახელმწიფოს ერი კი არა აქვს საქ არამედ ცალკე პიროვნებასთან;

II. კოლექტიურ-ფედერალისტური ან ო განიული—ყოველი ერი წარმოადგენს უფლ რივ ერთეულს და ამ ერთეულების კავშირ ფედერაცია შეადგენს სახელმწიფოს.

ამ ორგანიულ შეხედულებაში ორი მიმარ ლებაა:

ა. ტერიტორიალური: ერთ ერს ჰყოფს ორისაგან ტერიტორია, თვითმმართველობ ტერიტორიალური უნდა იყოს;

ბ. წმინდა პიროვნულ-ეროვნული: ეროვნ არა აქვს არსებითი კავშირი ტე ამიტომ თვით-მმართველობაც წმ დი უნდა იყოს ტერიტორიის მო

შემდეგ წერილში სათითაო ჩამოთ ლიდ შეხედულებათ. 2)

---

[1] რუდოლფ სპრინგერი, „ბრძოლა ავსტრიელ

27

ერთს შემოღობილი საძოვარიც აუქციეს და შიგ თავიანთი ცხვარი შერეკეს.

კიდევ.

ახალი ამბავი

◆ როგორც გუშინ ვწერდით, ბაქოს გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა **შეიპყრან ბაქოს დეპოს ის მომუშავენი,** მემანქანენი და მათი თანაშემწენი, რომელნიც სამსახურში არ გამოცხადდებიან. 7 აპრილს შეიპყრეს ოთხასამდე კაცი და დაამწყვდიეს დიდ ვაგონის სარაიაში. ამ დღეს მემანქანეებმა ბაქოს გენერალ-გუბერნატორს გაუგზავნეს თხოვნა. სწერდნენ, უკანასკნელად წარმოდგენილი პეტიცია პატარა ჯგუფს ეკუთვნის და არა ყველა მოსამსახურეებსაო. გენერალ-გუბერნატორმა გაგზავნა სადგურზე თავის კანცელარიის მოხელენი და ატუტანტი, რომ ყველა დაპატიმრებულ მოსამსახურესთვის ცალკე ჩამოერთმიათ ჩვენება. ჩვენების ჩამორთმევამ თითქმის სალამომდის გასტანა. ყველამ განაცხადა, გავალ სამსახურშიო. საბუნჩის ლიანდაგზე ყველა სახალხო მატარებელი დადის. ბაქოდან წამოვიდა ორი სახალხო მატარებელი. როდესაც მოსამსახურენი და დეპოს მომუშავენი გამოვიდნენ, განაცხადეს, არ ვიმუშავებთ მანამდე, სანამ ყველას არ გაანთავისუფლებთო. მემანქანენიც მიემხრნენ.

◆ როგორც გავიგეთ, რაჭის, შორაპნის, ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის მაზრებში ხალხს **მიწის მზომლები** (გამიჯვნის კომისია) არ მიუღია.

◆ გენ. ალიხანოვ-ავარსკის მიერ **ოზურგეთში შეპყრობილთ** უკვე გადაუწყვიტეს რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიებში გადასახლება. უკან დაბრუნება მანამდე არ შეუძლიანთ, ვიდრე ქუთაისის გუბერნიებში საომარ დროის წესები იქნება. სამარის გუბერნიაში გადასახლება გადაეწყვიტა: ექიმს გიორგი ქოლოშვილს, ალექსანდრე წუწუნავას და სიმონ ღლონტს; ყაზანის გუბერნიაში: კბილის ექიმს სამსონ ვაშაყმაძეს, მასწავლებელს თედორე კუკვაძეს და ისააკ საბაშვილს.

◆ ტფილისის საბჭომ 7 აპრილს დაადგინა მიულოცოს **ნამესტნიკის თანაშემწედ დანიშვნა** გენერალს ი. დ. მალამას და ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის.

◆ 7 აპრილს ტფილისიდან ბაქოსკენ გავიდა **სახალხო და საფოსტო მატარებელი,** რომლითაც გაგზავნეს სავაჭრო ვაგონი სანოვაგით. ხაშურიდან არც ერთი მატარებელი არ გასულა არც ტფილისკენ, არც ბათუმისკენ.

◆ „ნ. ო.“-ს პეტერბურგიდან **დეპეშით ატყობინებენ:** „როგორც ნამდვილად ისმის, იმ თათბირში, რომელიც კავკასიის ნამესტნიკთან გაიმართება, არ შევლენ მცხოვრებთა მიერ არჩეული წარმომადგენელნი; დანიშნულ წევრებს გარდა სათათბიროდ მიწვეული იქმნებიან არჩეულნი თავად-აზნაურობისა, ქალაქებისა და სოფლების თვითმმართველობათა მიერ. გაზეთ „რაზსვეტ“-ის სიტყვით, ნამესტნიკი კავკასიაში წავა 20 აპრილს. ბაქოს გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე თანამდებობას თავს ანებებს. ტფილისის გუბერნატორი სვეჩინი ინიშნება ტავრიდის გუბერნატორად“.

◆ სადგურ მიხაილოვიდან საგუბერნიო მთავრობას დეპეშით აცნობებენ, რომ სახალხო მატარებელი სადგურიდან ვეღარ გამოვიდა და **მგზავრები გაჭირვებაში ჩავარდნენო.** თხოულობენ დახმარებას.

◆ როგორც გვატყობინებენ, ბალაჯარას ჩამოსულან შიდა **რუსეთიდან გადმოსასახლებლად გამოგზავნილი რუსები.** ამ რუსებს ათი ვაგონი უჭირავთ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟ. **ივანოვსკის** ბრძანება გაუცია. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რკინის გზის გამგეობაში შედიან გარეშე პირნი, რომელნიც აგიტაციას სწევენ მოსამსახურეთა შორის. ივანოვსკიმ განკარგულება მოახდინა, რომ გარეშე არავინ შეუშვან.

◆ ტფილისში მცხოვრებმა ფერშლებმა განიზრახეს დააარსონ **ექიმის თანაშემწეთა დამხმარებელი საზოგადოება** ამიერ-კავკასიაში. წევრებად იქმნებიან ფერშლები, ბებიები და სხვანი. საზოგადოებას აზრად აქვს, გარდა ნივთიერ დახმარებისა, მიაწოდოს თავის წევრებს გონებრივი საზრდო. საზოგადოება გამართავს ლექციებს და კურსებს როგორც სპეციალურ, ისე საერთო საგნებისას. ამ ჟამად არჩეულია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საზოგადოების წესდება.

◆ 8 აპრილს ტფ. ქალაქის მოურავს შეეკითხა 3[illegible]ე სახლის პატრონი, რო[illegible] მეეზოვეთა დათხოვნის [illegible] გარ[illegible] ხალხი ძალას გვატანსო.

◆ [illegible] სწერს: [illegible]ი აშორდია, რომელმაც [illegible] სათა[illegible] [illegible]უთაისში თავად-აზნაურთა [illegible] ბაცქით, როგორც „კასპი“ [illegible] საქმის— [illegible]ში შეუპყრიათ. აშორ[illegible]თის [illegible]ე, რომელიც ბაქოდან [illegible] ილიშვილ[illegible], [illegible]ა, და საპყრობილეში [illegible]სტები იყვნ[illegible]

◆ ბალაჯარაში, როგორც იქიდან გვატყობინებენ, პეტერბურგიდან ჩასულა **კავკასიის ნამესტნიკის** ორი ვაგონი. ამ ვაგონებში ცხენებია და ერთი ეტლი.

◆ **დუშეთის ქალაქის მამასახლისად** არჩეულ იქმნა ვ. ყარანგოზიშვილი.

◆ ზუგდიდის მაზრის სოფელ მუხურში 1 აპრილს **მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე** თავ. პ. ა. დადიანი. მუხურში უკვე ჩასულან ყაზახ-რუსები.

◆ **ჩხარში ცეცხლისაგან დაზარალებულთა** დამხმარებელ კომიტეტის ხაზინადარი კნ. მ. თუმანოვისა გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ მიღებულ იქმნა გაგრიდან შემოწირულება—58 მან. 63 კაპ. ეს ფული 85 კაცს შორის შეუგროვებია ბ-ნ იოსებ მარუაშვილს.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ შეიმუშავა **მეეტლეთათვის ნიხრი** სადგურამდე და ქალაქის განაპირა ადგილებამდე. შუაგულ ადგილებიდან სადგურამდე მისვლა ეღირება—60 კაპ., ხოლო ქალაქში შემოსვლა იქიდან—70 კაპ. ქალაქს განაპირა ადგილებში წამსვლელმა მანეთზე მეტი არ უნდა გადაიხადოს. თუ ვინიცობა წამსვლელი მეეტლეს ამ ფასად ვერ მოურიგდა, მაშინ დროს დაგვარად გადიხდის ფულს, მაგალითად, 20 წამის სავალში 40 კაპ., 40 წამის სავალში—60 კაპ., ხოლო საათისაში 80 კაპ. ღამე (ღამის დროდ არის დანიშნული ნაშუაღამევის 1 საათიდან დილის 6 საათამდე) სადგურამდე მოემატება 10 კაპ. ე. ი. აქედან 70 კაპ., ხოლო სადგურიდან 80 კაპ. ღამე 20 წამის სავალში 50 კაპ., 40 წამისა—80 კაპ. ხოლო საათის სავალში 1 მან.

მემანქანეთა და კონდუქტორთა კრება

გუშინ, 8 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, გენერალ მალამას ნებართვით და ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, მოხდა კრება რკინის გზის მემანქანეთა, მათ თანაშემწეთა, კონდუქტორთა, მათ თანაშემწეთა და მეისრეთა. დილის 10 საათი იყო, რომ დარბაზი გაივსო. დაესწრო 2000 კაცამდე. თავმჯდომარემ სთხოვა კრებას, დაასახელოს თავის მოთხოვნილების ის ადგილები, რომლის აღსრულებაც აუცილებლად საჭიროა ეხლავე, რომ გზაზე მუშაობა განახლდეს, რადგან მომსვლის შეჩერება ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ დიდ ზარალს აყენებსო. ნამესტნიკის თანაშემწემ რკინის გზის უფროს მოხელეთაგან მოიწვია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს უპირველესი და საჩქარო მოთხოვნილებანი. დაასახელეთო,—სთქვა ქალაქის მოურავმა,—რა გინდათ და ამასთან ამოარჩიეთ დეპუტატები, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას აღნიშნულ კომისიაშიო. ორატორებმა ეხლავე საჭიროდ სცნეს ქონებრივად მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ერთმა ორატორმა ცოცხლად დაასურათა მემანქანეთა და სხვა მსახურთა აუტანელი მდგომარეობა. როცა მოურავი შეეკითხა, რატომ არა სთხოვეთ თქვენს უფროსს თქვენის მდგომარეობის გაუმჯობესებაო, მოლაპარაკემ სთქვა, განა ერთხელ და ორჯელ გვითხოვნია, მაგრამ ჩვენს თხოვნას არავინ ყურადღება არ მიაქცია და იძულებული შევიქენით ამ ერთად ერთ ღონისძიებისათვის მიგვემართნაო. ჯერ, თქვეს ორატორებმა, უნდა მოვითხოვოთ სადღესასწაულოდ ფული. როცა კომისია დღეს გადაწყვეტილ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, შემდეგ იგი უნდა შეუდგეს ჩვენს დეპუტატებთან ერთად რკინის გზის საერთო მოთხოვნილებათა განხილვას. სადღესასწაულო ფულის გარდა კრებამ მოითხოვა ეხლავე „ტიაგის“ უფროსის ინჟენერ ვარტენბურგის სამსახურიდან დათხოვნა. სთქვეს: როცა მივმართეთ ვარტენბურგს და ვთხოვეთ ჯამაგირების მომატებაზე ეზრუნა, მან გვითხრა, თქვენ საკმაო ჯამაგირი გაქვთ და თუ არა გყოფნით, ჩვენი რა ბრალია; თქვენ გახამებულ პერანგებს იცვამთ, გიმნაზიაში შვილებს ჰგზავნით და სხვაო. განა შეგვიძლიან ისეთ უფროსთან სამსახური, რომელსაც ჩვენი სიბნელეში ყოფნა უნდა, ჩვენი სიშიმშილე, შიმშილი?! თვითონ უმაღლესი განათლება მიუღია და ჩვენ-კი გვირჩევს, ბავშვები სკოლაში არ გავგზავნოთო.

შემდეგ შეეხნენ ტფილისის სადგურის უფროსს ტერტულოვსკის, რომელიც აგრეთვე აუტანელი კაცია მოსამსახურეთათვისაო. კრების ერთმა ნაწილმა მოითხოვა იმისი დათხოვნაც, მაგრამ ერთმა ორატორმა დაარწმუნა კრება, რომ სადგურის უფროსი არაფერს წარმოადგენსო. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, დაევალოს დეპუტატებს მოსთხოვონ კომისიას ჯერ შემდეგ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება: 1. მიეცეთ ერთ დროულად მემანქანეებს და მათ თანამდებობის აღმასრულებელთ 100 მან., თანაშემწეებს 50 მან., ობერ-კონდუქტორებს და მათ თანამდებობის აღმასრულებელთ—50 მან. კონდუქტორებს 40 მან., ბაგაჟის კონდუქტორებს—30 მან., რევიზორებს და მათ თანამდებობის აღმასრულებელთ—100 მან., თანაშემწეთ—50 მან., მატარებლების შემდგენელთ 50 მან., გამცილებელთ—25 მან., მეისრეთ 30 მან. და მაზის წამსმელთ—15 მან.

ამ დადგენილების მიღების შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა რემონტის მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კრებამ შეიტანა შემდეგი წინადადება მოთხოვნილების ქაღალდში: 1. რემონტის მუშებს ერთ-დროულად მიეცეთ—10 მან., დღეში გასამრჯელოდ—1 მან. ქძლეოდეთ და სამუშაო დღე 8 საათით იყოს განსაზღვრული; 2. განთავისუფლებულ იქმნან ეხლავე მოხელენი, რომელნიც გაფიცვაში მონაწილეობის მიდებისთვის დააპატიმრეს; 3. უზრუნველ-ყოფილ იქმნან ყველანი დაპატიმრებისა და რაიმე ნივთიერ თუ ფიზიკურ სასჯელისაგან; 4. არავის არა ჰქონდეს ნება მუშაობას შეუდგეს, ვიდრე არ მომხდარა შეთანხმება; 5. დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან „ტიაგის“ უფროსი ვარტენბურგი; 6. საყვედური გამოეცხადოს სადგურის უფროსს ტერტულოვსკის; 7. მოგვეცეს ნება კრებების გამართვისა ხშირად ჩვენს საჭიროებებზე მოსალაპარაკებლად და 8. აუცილებლად უფროსები ზრდილობიანად და კაცურად ეპყრობოდნენ მოხელეებს.

დასასრულ კრებამ აარჩია დეპუტატებად: ბუნტური, ზალიევი, დოლიძე, იანჩევი, პერვასი, გიქსუტი, კაცაევი, ქავთარაძე, ზასოხოვი, ხლისტაკოვი, გაბუნია, ვილეშკევიჩი, ბოიტიშევი, ჩიქოვანი და გაგლოშვილი. კრებამ მადლობა გამოუცხადა ბ-ნს ვერმიშევს და ჭრელაშვილს.

რუსეთის ქრონიკა

გაზეთის დახურვა. „გაზეთ „სლოვო“-ს მავნე მიმართულებისათვის, რომელიც სხვათა შორის, გამოიხატა №№ 100, 108, 110-ში დაბეჭდილ წერილებში („ბიუროკრატიული გაჭიანურება“, „ომი და რეფორმები“, „მიმდინარეობის წინააღმდეგ“ და სხვა) თანახმად საცენზურო დებულების 144 მუხლისა გამოეცხადოს პირველი გაფრთხილება“-ო, მთუხდენია მთავრობას განკარგულება.

პეტერბურგის ერობა. პეტერბურგის საგუბერნიო ერობის გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნატორის წინაშე—ნება მოგვეცით ერობის საგანგებო კრება მოვახდინოთ, რომ განვიხილოთ საკითხი ხალხის წარმომადგენლების დაუყოვნებლივ მოწვევის. აქამდე გამგეობას არავითარი პასუხი არ მიუღია, და როგორც „ს. ოტეჩ.“-ს გაუგონია, ადმინისტრაცია არ თანაუგრძნობს ამ შუამდგომლობას.

მოსალოდნელი ამნისტია. ეხლა შინაგან საქმეთა სამინისტროში ცნობებს ჰკრეფენ ყველა იმათ შესახებ, ვინც დასაჯა თავის სარწმუნოებრივ ან პოლიტიკურ რწმენისათვის ამ წლის 18 თებერვლამდე. დამზადებული იქნება თუ არა ეს ცნობები, მაშინვე ამნისტიის აქტის დამზადებას შეუდგებიან. ამნისტია უნდა მოხდეს არა უგვიანეს აღდგომისა. („ბ. ვ.“).

რიმსკი-კორსაკოვი და კონსერვატორიის პროფესორები. კონსერვატორიის პროფესორი, განთქმული კომპოზიტორი რიმსკი-კორსაკოვი სამსახურიდან დაითხოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ საჯაროდ და თამამად გამოსთქვა აზრი სტუდენტების ეხლანდელ მოძრაობაზე. ამის გამო დიდი მითქმა-მოთქმა ასტყდა რუსეთის საზოგადოებასა და ევროპაშიც. თანაგრძნობის წერილები მოსდიოდა კომპოზიტორს ყოველის მხრიდან. ზოგ უცხოელ კომპოზიტორებს უარი განაცხადეს კონსერვატორიის საპატიო წევრობაზე. ეხლა კონსერვატორიის პროფესორებმაც ამოიღეს ხმა: დიდ უმრავლესობას განცხადება შეუტანია დირექციაში—დაუყოვნებლივ მოიწვიეთ ბოდიშით რიმსკი-კორსაკოვი, თუ გსურთ, რომ სამოსწავლო საქმე წესიერად მიდიოდეს კონსერვატორიაშიო.

ყირიმის თათრების მოთხოვნები. 1. თათრის სასულიერო წოდების ყოველ პირს უნდა ირჩევდეს თვითონ ხალხი (ეხლა მთავრობა ნიშნავს); 2. თათრებს ნება უნდა ჰქონდეთ გახსნან ყოველგვარი სკოლა და მათ სურვილზე უნდა იყოს თათრულის სწავლება; 3. რუსულ პრესასთან ერთად თათრულსაც უნდა მიეცეს სრული თავისუფლება; 4. მინისტრთა კომიტეტის კომისიების თათბირში უნდა მიწვეულ იქნენ ყირიმელი თათრების წარმომადგენლებიც.

სასმელ დუქნებისა და რესტორანების პატრონთა კრება

გაკვრით უკვე მოვიხსენიეთ, რომ 5 აპრილს ქალაქის საბჭოს დარბაზში, მოურავის მოადგილის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ნებართვით მოხდა კრება ტფილისის სამიკიტნო დუქნებისა, რესტორანებისა და სხვა სასმელების დუქნებისა და ზოგიერთ სასმელების პატრონებისა. დიდძალი ხალხი შეიკრიბა. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ კრებამ მოითხოვა, პოლიციელნი და გარეშე ხალხი გასულიყო დარბაზიდან. შემდეგ შეუდგნენ თავიანთ მდგომარეობის გამორკვევას. როგორც გამოირკვა, კრების მოწვევის მიზეზი ის გარემოება ყოფილა, რომ ვაჭრებს გადაუწყვეტიათ კვირა უქმე დღეებში დაესვენებინათ და ამიტომაც 3 აპრილს დაკეტეს დუქნები და რესტორანები. მეორე დღეს 4 აპრილს, პოლიციელებმა ვაჭრების ასეთი საქციელი კანონის საწინააღმდეგო მოქმედებად სცნეს, თავის ხელით გამოკეტეს დუქნები და თანაც გასაღებები წაიღეს. ვაჭრების წარმომადგენლებმა ყოველივე ეს აცნობეს თავ. ჩერქეზიშვილს, რომლის შუამდგომლობითაც გუბერნატორმა ნება დართო კრებისა. ორატორებმა განაცხადეს, ეხლანდელ ცხოვრების პირობები ჩვენც გვიჭირვებს საქმესაო. ერთის მხრივ დიდი გადასახადები გვაწევს და მეორეს მხრით იძულებულნი ვართ რიგ-რიგობით პოლიციის მოხელეებს მივართვათ ხოლმე თითქმის წავალდებულო ძღვენი. ხშირად საბუთები ხელთა გვაქვს და ვემზადებით დუქნებრესტორანების გასაღებად, პოდის პოლიცია და საბუთები მიაქვს. ვითომ ყველა საჭირო მოწმობა არ [illegible] იციით, რასაც ნიშნავს ასეთი მოქმედება და რადგან სხვა გზა არა გვაქვს, ვერავისთან ვიჩივლებთ, იძულებული ვხდებით ქრთამი გავილოთ და მოვალბოთ როგორმე ჩვენის ცხოვრების ამღვრევი და გამანადგურებელი ძალა. ეს კიდევ ცოტაა. ყოველს საეფლო დღესასწაულებში ვალდებულნი ვართ ხარკი ვაძლიოთ პოლიციას თუ ცხვრისა, თუ ღვინისა და სხვა ამგვარ სანოვაგის მირთმევით. ავიღოთ, მაგალითად, ბოქაული გ—ვი. მისი ნახევარ მილიონის ცხოვრება განა ჩვენი ოფლითა და მონაგებით არ არის შემდგარი? ყოველივე ეს ვიცით, მაგრამ აბა გაბედეთ და ჰკადრეთ რამე, თუ საუკუნოდ არ დაგღუპონ? კრებამ ბოლოს დაადგინა: 1. რადგან ყველა სავაჭრო სახლში და აგრეთვე ქალაქს გარედ ბაღში სალამოს 10 საათიდან მშრომელი ხალხი არ დადის, არამედ მცხოვრებთა ის ნაწილი, რომელსაც ცხოვრება შეძენილი აქვს უშრომლად, ამიტომ ვაჭრობა უნდა იყოს ზაფხულობით დილის 6-დან სალამოს 10 საათამდე, ხოლო ზამთრობით 7-დან 10 საათამდე. ამის შემდეგ უნდა დაიკეტოს როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარშემო სასმელი დუქან-რესტორანები და ბაღები. ამით მოისპობა ქალაქს გარედ მკვლელობა, ძალადობა, ავაზაკობა, მოზარდ ახალ-გაზრდობის დაცემა და სხვა; 2. კვირაობით უნდა შესწყდეს მუშაობა და ყველა ზემოდ მოხსენებული დაწესებულებანი უნდა დაიკეტოს; 4. საიმდულო შესავალი სასმელ დუქნებ-რესტორანებში მუშაობის შეწყვეტის დროდან უნდა დაიკეტოს; 4. აეკრძალოს საწვრილმანო დუქნებს, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ რა სასმელების დუქნებთან, ბოთლობით ღვინის გაყიდვა; 5. ეთხოვოს მთავრობას გაანთავისუფლოს ვაჭრები ვაჭრობის ნებართვისათვის დაწესებულ ესრედ წოდებულ საშუალო სააქციზო გარდასახადისაგან; 6. ქურდებსა, „ქულიკებსა“, უსაქმურებსა და სხვა, საზოგადოებისათვის მავნე მაწანწალა ხალხს, არავინ სავაჭრო სახლებში არავითარი მფარველობა არ გაუწიოს, არ მისცეს არც სასმელი, არც საჭმელი; 7. რადგან ამ ჟამად სატრაქტირო დაწესებულებათა აქვთ წერილობითი ხელ-შეკრულობანი სახლის პატრონებთან კი არა, არამედ მოიჯარადრეებთან, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ერთი ორად მეტს იღებენ, ამიტომ შესწყდეს ყოველივე კავშირი და დამოკიდებულება მოიჯარადრესა და შუა კაცებთან და სადუქნე-სატრაქტირო სარესტორანე სახლების დასაქირავებლად საქმე იქონიონ პირდაპირ სახლის პატრონებთან და ქირა აძლიონ იმდენი, რამდენსაც ეს მოიჯარადრე-კონტრაგენტები იხდიან. თუ სახლის პატრონები არ მოანდომებენ რიგიან პირობებით სახლების დათმობას, უნდა დასცალონ მათი სახლები და არავინ არ დაიქირაოს; 8. ჯამაგირები მოსამსახურეებს მიეცეთ შაბათობით; 9. არავითარი ქრთამები და სადღესასწაულო ძღვენი: ბატკან-ღვინოები არ გაიღოს არავისათვის. ის ფული და ჯარიმა, რომელიც გადახდება ამ გადაწყვეტილების დამრღვევ ვაჭრებს უნდა გადაიდოს საერთო კასის დასაარსებლად, საიდანაც შემწეობა აღმოეჩინება გაჭირვებულ და დაზარალებულ წევრთ; 10. დაარსდეს საზოგადო კასა სამკურნალო და მატერიალურად დასახმარებლად იმ ნოქარ-მოსამსახურეთა, რომელთაც შემწეობა ესაჭიროებათ; 11. დაარსდეს ვაჭართა საამხანაგო სასამართლო აღებსა და მსახურთა შორის ატეხილ დავის გადასაწყვეტად; 12. მოსპონ ურთიერთ შორის ყოველივე უსაფუძვლო დავა-ქიშპობა, ერთი მეორეს დაჩაგვრა და მოიშორონ ყოველივე ის, რაც ამდაბლებს, ამცირებს კაცურ-კაცობას; 13. აეკრძალოს ღვინით ვაჭრობა იმათ, ვისაც ქუჩა-ქუჩა დააქვთ ფურგუნებით, რადგან ასეთი ვაჭრობა მავნებელია ვაჭრების ინტერესებისათვის. 14. სასურველია, სოფლიდან შემოტანილი ღვინო გაიყიდოს ერთს ადგილზე; 15. აიკრძალოს სავაჭრო სახლებში ფულზე ნარდისა, დომინოსა, ბანქოსი და სხვა სათამაშოები; 16. სასურველია, რომ სასტუმროებში ესრედ წოდებულმა „პასაჟირებმა“ არ იცხოვრონ მთელის თვეობითა და წლობით, რადგან ამნაირ საფუძვლით ბევრნი სცხოვრობენ საეჭვო ყოფა-ქცევისა; 17. შუამდგომლობა აღიძრას ქალაქის თვითმმართველობის წინაშე, გამართოს საზოგადო აბანოები უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომ ფასად. ეხლანდელი გოგირდის წყლები ხელში ჩაიგდეს ექსპლოატატორებმა და ისე გაადიდეს ფასი, რომ ღარიბს არ შეუძლიან იქ სიარული; 18. დაკმაყოფილდეს ნოქრების და ლაქიების მოთხოვნილებანი (ნოქარ-მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი უკვე გვქონდა დაბეჭდილი); დასასრულ კრება შეუერთდა რუსეთის ხალხის საუკეთესო ნაწილის მოთხოვნილებათ და დაადგინა, მოითხოვოს თავისუფლება ბეჭდვისა, სიტყვისა, კრებისა, ხელუხლებლობა პირადობისა და საცხოვრებელ სახლისა და მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება ამ დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად. კრებამ აარჩია შემდეგი პირები: ივანე ნუზაროვი, ბაგრატ პაპიაშვილი, ივანე გამეზარდაშვილი, გრიგორ ბუაჩიძე, ნიკოლოზ ვაჟიკაშვილი, კონო ბაირამოვი, გერასიმ აჯი-მამუდოვი, არტემ ტერ-არუთინოვი, წყალობ არუთინოვი, გიორგი აზნაუროვი, ვასო მამულოვი, ერასტო კერესელიძე, მიხეილ იანვაროვი, არშაკ თუმანოვი, პორფილე ხუნდაძე, ვანო ხახუტაშვილი, მიხეილ ედიბერიძე, სერგო ეგოროვი, ზაქარია როსტომოვი, ილია ოძიაძე, ს. ფირცხალავა, ბესარიონ დვალიძე, გლახა ბეგიჯანოვი და ივანე სოსიევი.

ჩაის ბუჩქის გაშენება გურია-სამეგრელოში

ათი-თერთმეტი წელიწადია, რაც ჩაის გაშენება დაიწყეს დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ბათუმის ახლოს, ზღვისნაპირზე. ჩაის პლანტაციას ეხლა იქ 300 ქცევამდე ადგილი უჭირავს. აქედან ნახევარზე მეტი საუფლისწულო მამულს და პაპოვს ეკუთნის, დანარჩენი-კი წვრიმალ მემამულეებს. საუფლისწულო მამულს ექნება 400 ქცევამდე, პაპოვს კი 250 ქცევა გაშენებული ჩაის პლანტაცია; ამ[illegible] მამულში ჩაის გასაკეთებელი ფაბრიკებიც არის. წვრიმალ მემამულეებს შარშანდლამდე მიჰქონდათ ნედლი ჩაის ფოთოლი ამ ფაბრიკებში გასაკეთებლად და ფაბრიკის პატრონებიც სიამოვნებით იღებდნენ, რადგან ახლად გაშენებული პლანტაციები ჯერ დიდ მოსავალს ვერ იძლეოდნენ და საკუთარი ფოთოლი ცოტა ჰქონდათ. $4^{1}/_{8}$—$4^{1}/_{4}$ გირვანქა ნედლ ფოთლიდან გამოდის ერთი გირვანქა გაკეთებული ჩაი და გირვანქა ჩაის გაკეთება ჯდება ერთ აბაზად.

ჩაის გაშენებამ რომ უფრო კარგად მოიდგას ფეხი და ეს სასარგებლო [illegible] გავრცელდეს ჩვენში, მიწათ-მოქმედების სამინისტრო მეოთხე წელიწადია შეუდგა ამ საქმის განხორციელებას. გურია-სამეგრელოს და სოხუმის ოლქის რამდენსამე სოფელში საცდელად დააარსა პატარ-პატარა ჩაის პლანტაციები, ხოლო ოზურგეთის საცდელ თამბაქოს პლანტაციაში—ჩაის სანერგე. ამ სანერგიდან მსურველს შეუძლიან მცირე ფასით წაიღოს საჭირო ნერგები, ძირი თითო კაპეიკად.

ამ ოთხი წლის ცდამ კარგი ნაყოფი მოიტანა, ჩაის ბუჩქმა მშვენივრად იხარა ზეგნებზე ეწერ ადგილებში გურიის შუაგულ და სამხრეთ-დასავლეთის ნაწილებში და ზუგდიდის მაზრის შუა ნაწილებში. სულ საცდელი პლანტაცია 34 სოფელშია. ამის მაგალითით ჩაის გაშენებას მიაქციეს ყურადღება გურიის მცხოვრებლებმა და დღეს გურიაში 10—15 კომლი მეურნესაც აქვს ჩაის პლანტაცია, თითოს $^{1}/_{2}$—6 ქცევამდე.

გასულს ზაფხულში დავიწყეთ ფოთლების კრეფა და პირველად გავაკეთეთ ჩაი ხელით, შემოქმედსა, სოფელ გომსა, ურეხსა, ბახვსა და მაკვანეთში. ცდამ კარგად ჩაიარა, გურიის ჩაი კარგი გამოდგა, თავის თვისებით წააგავს ჩინურ შავ ჩაის და რაც შეეხება ჩაქვის ჩაის, თუ არ სჯობნის, არაფრით არ ჩამოუვარდება.

ჩაის მცენარის კულტურას გურია-სამეგრელოში დიდი მომავალი მოელის. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ჩაის ბუჩქი ხარობს მხოლოდ წითელ მიწაზე, ეწერ ადგილებში, სადაც გვიმრა ბლომად ამოდის, ესე იგი იმისთანა ადგილებში, რომელზედაც სიმინდი არ ხარობს და ჩვენში თითქმის უნაყოფო ადგილად ითვლება. გურიისა და სამეგრელოს ადგილების ერთ-მესამედზე მეტი სულ ამისთანა ეწერი ადგილებია. დღეს ამნაირი ადგილები უვარგისად არის ცნობილი და ფასადაც მცირედ იყიდება, ქცევა 10—20 მანეთს არ აღემატება.

ერთი ქცევა ჩაის გაშენება ჯდება: ადგილის შეკავება 30 მანეთი, მიწის გადაბრუნება 12 ვერშოკზე 90 მანეთი, ნერგების ფასი 30 მანეთი (ქცევაზე ეტევა 3000 ძირამდე), დარგვა 10 მანეთი, გათოხნა 5 მანეთი, სულ 165 მანეთი. მეოთხე წელიწადიდან ჩაის პლანტაცია იწყებს შემოსავლის ძლევას და ამის შემდეგ ყოველ წლიური ხარჯი ერთ ქცევაზე იქნება:

დაბარვა ერთ ბარის პირზე 9 მან. გასხვლა 10 მან. დათოხნა ზაფხულის განმავლობაში 15 მან. დაკრეფა 750 გირვანქა ფურცლისა 15 მან. გაკეთება 180 გირ. ჩაისა თითო აბაზიდან 36 მან. სულ 85 მანეთი.

გირვანქა გურიის ჩაი გაიყიდება ერთ მანეთიდან მანეთ ნახევრამდე. დავანგარიშოთ მცირე ფასი, ერთი მანეთი, მაშინ ერთი ქცევა ჩაის პლანტაცია მოგვცემს 180 მანეთს შემოსავალს, ხარჯი რომ გამოვიდეთ, წმინდა შემოსავალი იქნება 95 მანეთი ერთ ქცევაზე.

სადაც მუშა ხელის სიძვირეა, როგორც ჩვენში, ჩაის პლანტაციის დამუშავება უფრო ძვირად ჯდება და ამის მიხედვით შემოსავალიც უფრო ნაკლები იქნება. გურია-სამეგრელოსთვის უფრო სასარგებლო და შემოსავლიანი იქნება პატარ-პატარა პლანტაციები, ერთი ან ორი ქცევა. თვითეულ ოჯახს ადვილად შეუძლიან მოუაროს ამხელა ჩაის პლანტაციებს სხვა მუშის დაუქირავებლად და მთელი შემოსავალიც მას დარჩება. ყველაზედ ბევრი მუშა საჭიროა ჩაის დაკრეფის დროს, ფოთოლის კრეფა ერთნაირად შეუძლიან, როგორც დიდ მუშა-კაცს, ისე ქალს და ბავშვს; ამნაირი მუშა-კი ყოველ ოჯახში მოიპოვება.

ამნაირად ჩაის მცენარე მშვენივრად ხარობს ჩვენში, ჩაიც კარგი გამოდის და ამისთვის გასაშენებლად ადგილიც ბევრია ჩვენში, ამასთან მიწათ-მოქმედების სამინისტროც სცდილობს, რომ ეს დარგი მეურნეობისა გავრცელდეს ჩვენში, უწყობს ხელს და აძლევს დახმარებას: ვინც კი მოისურვებს ჩაის გაშენებას, უნდა მიმართოს პირადად ანუ წერილობით ამისათვის დანიშნულ აგრონომს (ერ. ნაკაშიძეს, ქ. ოზურგეთში), რომელიც აურჩევს ადგილს და მისცემს ყოველ გვარ დარიგებას ჩაის მოვლა-გაშენების შესახებ; ნერგები მიეცემა ოზურგეთის პლანტაციიდან ძლიერ შემცირებულ ფასად, ძირი თითო კაპეიკად და თუ იმ სოფლის ახლო არემარეში ჯერ არავის აქვს ჩაი გაშენებული, მაშინ 300—500 ძირი უფასოდაც დაეთმობა. ერთი წელიწადია მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გამოსცა ჩემ მიერ ქართულად ნათარგმნი წიგნაკი „მოკლე დარიგება ჩაის ბუჩქის გაშენების შესახებ ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ ნაწილში“; იყიდება ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის წიგნის მაღაზიებში, ღირს ორ შაურად, ღარიბ გლეხებს კი უფასოდ მიეცემა.

ეჭვი არ არის, რომ ჩაის საქმე მოიკიდებს ფეხს გურია-სამეგრელოში და ამ მხარეს შეეძინება ერთი ახალი დარგი მეურნეობისა, რომელიც არსებულ მეურნეობის დარგებთან შედარებით არა ნაკლებ შემოსავალს მისცემს და ამით ბევრად გააუმჯობესებს ეკონომიურად დღეს დაქვეითებულ გლეხების მდგომარეობას.

როცა ჩაის პლანტაციების რიცხვი დღევანდელთან შედარებით ერთი ორად იმატებს, განზრახულია, მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დააარსოს ოზურგეთში ჩაის გასაკეთებელი ქარხანა, სადაც ყველა ჩაის პლანტაციის პატრონს შეეძლიან მიიტანოს ნედლი ჩაის ფურცელი

გასაკეთებლად ან თვითონ ქარხანა იყიდის ნედლ ფურცე[illegible], გირვანქა 12—16 კაპეიკად; ამ შემთხვევაში ქცევა მოიტანს შემოსავალს 90—120 მანეთს

აგრონომი ერ. ნაკაშიძე

წერილები

სოფ. ხარაგაული (ზემო იმერეთი). 22 მარტს ორკლასიან სასწავლებლიდან დაუთხოვიათ 25 მოწაფე-აზნაური, რომელთაც სწავლის ფული არ შეუტანიათ. ამის გამო 28 მარტს ყველა გლეხ-მოსწავლეებს სწავლისთვის თავი დაუნებებიათ, დემონსტრატიულად ეზოში გამოსულან და სკოლის ზედამხედველისთვის შემდეგი მოთხოვნები წარუდგენიათ; 1. რადგან აზნაური-მოწაფენი ისეთივე ღარიბნი არიან, როგორც ჩვენ,—წინააღმდეგ შემთხვევაში იმათ თავიანთი მშობლები აქ-კი არ დასტოვებდნენ, ქალაქებში გაგზავნიდნენ უკეთეს სასწავლებელში,—ამიტომ იგინი განთავისუფლებულ იქნენ სწავლის ფულის გადახდისაგან და უკანვე მიღებულ იქმნენ; 2, რადგან სანამ რუსულად ორ სტრიქონს ვისწავლიდეთ, იმ დროს ქართულად ორი ფურცლის დასწავლას მოვასწრებთ, ამიტომ საგნების სწავლება ქართულს ენაზე იქნეს შემოღებული; მაშინ ჩვენ უფრო ხალისიანად და უფრო ბევრსაც ვისწავლით; 3. სალმრთო სჯულისთვის კვირაში ორი საათის მეტი ნუ იქნება გადადებული, რადგან, თუ ქართულად იქნა სწავლება, მაინც ბევრის სწავლებას მოვასწრებთ; რუსული ენის მუნჯურად სწავლება ნუ იქნება; რადგან სხვაგან ყველგან მოსწავლეებმა სწავლა შესწყვიტეს, ჩვენც ვუერთდებით მათ, რადგან „ჩვენც გვინდა ჭკვიანები ვიყოთ“. ამის შემდეგ ისინი წავიდნენ მღვდლის დეკანოზის სასწავლებელში, შეიერთეს იქაური მოსწავლენი. იქიდან გაემართნენ ქალთა სკოლისაკენ, შეიერთეს აქაური მოწაფენი და შემდეგ წავიდნენ თავიანთ სახლში.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 აპრილი

ლონდონი. ბრიტანიის მთავრობამ რუსეთისას, ის ხმები, ვითომც კრეისერი „იფიგენია“ ცნობებს აწვდიდა იაპონელებს რუსის ესკადრის მოგზაურობის შესახებ, ტყუილიაო.

ბერლინი. „ლოკალ-ანცაიგერ“ს აუწყეაუწყებენ პარიზიდან, დელკასემ განუცხა იაპონიის ელჩ მონტოს, საფრანგეთის მთავრობა შეკრებს დაწვრილებით ცნობებს რუსის ესკადრის ინდოეთ-ჩინეთის წყლებში ყოფნის შესახებ და მერმე აგიხსნისთ ყველაფერსაო. ტოკიოდან ცნობები მოდის, საფრანგეთი პირდაპირ დახმარებას უწევს რუსეთსაო. პრესა ამბობს, დეე იაპონიაც ნუ დაიცავს ნეიტრალიტეტსო.

[illegible]. იაპონელები აღარ მიდიან აღმოსავლეთისკენა პაკზიაცსა, ტოუანგოუსა და უფანლოუს გზაზე. იაპონელები, რომელთაც იულანცი და ვეხენგოუ ეჭირათ, გააძევეს ყაზახების სოტნის ცხენოსანმა მოხალისეებმა. ინპანის დიზვერვის დროს მოჰკლეს 5, დასჭრეს 20 და უკვალოდ დაიკარგა 51 დაბალი ჯარის კაცი. მუკდენიდან მოსული ჩინელები ირწმუნებიან, იაპონელები, ტელინისა და ლიაოხეს მიდამოების დაჭერის შემდეგ, აღარ წავლენ ჩრდილოეთისაკენო.—იაპონელები სიმაგრეებს აგებენ, გზებს აკეთებენ და თავის დაჩაცველად ემზადებიან რუსების თავდასხმის მოლოდინშიო.

ჩაჩაგაძი. აღმოსავლეთის ფრონტზე ხშირად ეტაკებიან მსროლელები მტერს. მოხალისეებმა დაანგრიეს მტრის საფარი და ერშვეულუპუმდე მისდიეს მას. მუდამ დღე მაშველი ჯარი მოდის.

უფა. ჩაიარა ბატიანოვმა. მან უპასუხა ვიცე-გუბერნატორ ბოგდანოვიჩი მისალმებაზე, რუსებს დარჩებათ გამარჯვება მამაც ლინევიჩის წყალობითო.

შანხაი. (ივნინგ-პოსტი). კრეისერ „ასკოლდს“ ნახშირს უდებენ. დაბეჯითებით ამბობენ „ასკოლდ“-ზე ზარბაზნები დადვეს, და მექანიზმის ნაწილები შეასწორეს და ლოცმანიც დაიქირავესო. ჩინეთის სამს სამხედრო გემს მიანდეს თვალყური დაიჭირონ „ასკოლდ“-ზე.

პარიზი, 7 აპრილი. ხვალ პალატაში პრესანსე საკითხს აღძრავს რუსის ესკადრის ანამის ნაპირებთან ყოფნის შესახებ, შეეკითხება მინისტრს, დაცულია, თუ არა საფრანგეთისაგან ნეიტრალიტეტი და წავიდა თუ არა როჟესტვენსკი კამრანის ბუხტიდან. გარეშე საქმეთა სამინისტროში ამბობენ, იაპონიის ელჩის განცხადებას არ ქონდა ფორმალურ პროტესტის ხასიათი. როგორც წინად, აგრეთვე ეხლაც, ამისთანა შემთხვევებში, უნდოდათ მხოლოდ ფორმალურად დარწმუნებულიყვნენ, რომ საფრანგეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს. საფრანგეთის მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია, რომ იმან მიიღო ზომები ნეიტრალიტეტის დასაცველადო.

ვაშინგტონი. იაპონიამ აცნობა შეერთებულ შტატებს, საფრანგეთმა როჟესტვენსკის ნება მისცა კამრანის ბუხტაში გაჩერებულიყო და მით ნეიტრალიტეტი დაარღვია; ამისათვის ჩვენ გვსურს ეს საქმე საერთაშორისო საბჭოში გაირჩესო.

პორტ-ლუი 7 აპრილი, (რეიტერი). გერმანიის ორთქლ-მავალ გემ „ჟულიეტა“-ს აგენტებმა ჩააბარეს გერმანიის კონსულს პროტესტი ადგილობრივ მთავრობისაგან გემის დაჭერისა და ნახშირით დატვირთვის წინააღმდეგ.

პეტერბურგი, 7 აპრილი. ოფიციალური. საგლეხო მიწის მფლობელობის საქმის განსამტკიცებელ ზომების მისაღებად დანიშნულ საკანცელარიო საბჭოს წევრად დაინიშნენ სახელმწიფო საბჭოს წევრები სემიონოვი, გოფმეისტერი ბრიანჩანინოვი, სტიშინსკი, სახელმწიფო სეკრეტარი სენატორი ბარონი იისკულ-ფონ-გილდენბანდტი, შტალმეისტერი ტრეპოვი, სამიწადმოქმედო მინისტრის თანაშემწე შვანებახი, ფინანსთა მინისტრის თანაშემწე კუტლერი, გოფმეისტერი, გრაფი გოლენიშჩევ-კუტუზოვი, სახელმწიფო, თავად-აზნაურთა და გლეხთა საადგილ-მამულო ბანკების მმართველები, შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილების მმართველი, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასახლებულთა სამმართველოს უფროსი, ხერსონის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სუხომლინოვი, დიმიტრი ხომიაკოვი, თ. შერბატოვი, ალტაის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ბარონი მეიდელი და ბოგოროდიცკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სამარინი. ამ საბჭოში საქმის წარმოება მიენდო სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტრის თანაშემწეს პლევეს. უმაღლესი მადლობა გამოეცხადა სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ გამართულ და აწ გაუქმებულ საბჭოს წევრებს.

პეტერბურგი, 8 აპრილი. 7 აპრილს ბეჭდვით სიტყვის შესახებ გამართულმა საბჭომ განიხილა საცენზურო წესდების ის მუხლები, რომელნიც პერიოდულ გამოცემებს შეეხებიან და შეჩერდა შემდეგ კითხვაზე; რა პირობები უნდა შეასრულოს რედაქტორმა და უნდა ამტკიცებდეს თუ არა მას ადმინისტრაცია. არავითარი დასკვნა არ გამოუტანიათ. სხდომები კვირაცხოვლობის კვირამდე შეწყდნენ. თანახმად საადმირალოების დადგენილებისა, 9 მარტიდან ჩარიცხეს გემების მესამე რანგში ნაღმოსნები „ბიაჩეკი“, „ბლოტვა“, “პალტუს“-ი, „სიგი“ და „გეფალი“ და ტრანსპორტები „შილკა“, „კოლიმა“ და „ტობოლი“.

პეტერბურგი, 8 აპრილი. კავკასიის სამოქალაქო საქმეების მთავარმართებლის საბჭოში ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, სულთანკრიმ-გირეი, დაინიშნა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწედ სამოქალაქო საქმეებში.

პეკინი. გარდაიცვალა რუსეთის ელჩი ლესარი.

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით, კობეკოს საბჭომ დიდის მადლობით მიიღო მეცნიერებათა აკადემიის მოხსენება ბეჭდვით სიტყვის თავისუფლების შესახებ და დაინახა, რომ ზოგიერთი იქ გამოთქმული აზრები უერთდებიან უკვე შემუშავებულ დადგენილებებს და ზოგს-კი შემდეგ მუშაობის დროს მიიღებს სახეში. ზაბაიკალის რკინის გზის კონტროლის მთავარი კონტროლიორი გადაჰყავთ იმავე თანამდებობაზე ამიერ-კავკასიის გზაზე.

კანეია, 8 აპრილი. მეფის შვილმა გიორგიმ სთქვა ხალხის კრებაზე: რამდენიმე ხანი კიდევ გადავდგი წინ კრიტოსის საბერძნეთთან შეერთების საქმის მოსაწყობადო. მეფის შვილის წასვლის შემდეგ, კრებამ კრიტოსის საბერძნეთთან შეერთება გამოაცხადა და შეჰფიცა ერთგულება ელლინთა მეფისა და საბერძნეთის კონსტიტუციისადმი.

ვინდავა. კურლანდიის გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებანი გამოაქვეყნა, რომელნიც წესიერების დაცვას შეეხებიან. მაზრა დელავს, თუმცა არეულება არ მომხდარა ჯერ. ზოგ მამულში მუშაობა არ სწარმოებს.

ვარშავა. ობერ-პოლიცმეისტერი, ნოლკენი, მორჩა ავადმყოფობისაგან.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 აპრილი

პეტერბურგი. 7 აპრილი. ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან არ მოსულა. კავკასიის პირველ საარმიო კორპუსის არტილერიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ხიმშიევი უმაღლესად დაინიშნა დაჭრილთათვის მზრუნველ ალექსანდრეს კომიტეტის წევრად.

გუნჩულინი, 7 აპრილი. არმიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. გუნჩულინში სიწყნარეა. როცა რუსისის ჯარმა მუკდენიდან დაიხია, აქაური მაღაზიები დაიკეტა, ეხლა კი ისევ გაიღო. პეტერბურგისა და მოსკოვის ეკონომიურ საზოგადოებათაც ხელ-ახლა დაიწყეს ვაჭრობა. უფრო და უფრო მეტი ჩინელი მოდის; თოვლი მოდის მაგრამ ხელად დნება. საძაგელი ამინდია.

ლონდონი. ადმ. როჟესტვენსკის თაობაზე „ტაიმს“-ი შენიშნავს, იაპონიის პრესამ თავისი ჩვეულებრივი სიდინჯე დაკარგა რადგან რუსის ესკადრა კამრანის ბუხტაში დგას; იაპონურ პრესის წერა სასარგებლოა როჟესტვენსკისთვის, რადგან რუსის ადმირალსაც სწორედ ეს უნდა, რომ ადმ. ტოგომ თავის პორტები მიატოვოს ჩრდილოეთში და რუსის ესკადრას საფრანგეთის პორტებს ახლო შეჰხვდეს, რომ რუსის გემებს თავშესაფარის შოვნა შეეძლოთ დამარცხების შემდეგ.—„ტაიმს“ ჰგონია, რომ როჟესტვენსკი იმავ პოლიტიკას მისდევს, რომელსაც რუსის კრეისერები მისდევდნენ წინად, როცა ინგლისის სავაჭრო გემებს იჭერდნენ; ინგლისურ გაზეთის აზრით, რუსის ადმირალს ჰსურს საქმე გაამწვავოს და ინგლისიც ომში გაახვას, რომ რუსეთს ისე აღარ შერცხვეს დამარცხებისა; პეტერბურგში ძლიერი [illegible] რომელსაც სურს, რომ ინგლისმა[illegible] ამში მონაწილეობა მიიღოს.—„გრა[illegible]“-ი შემდეგ აზრს გამოსთქვამს: როჟესტვენსკიმ ისეთი საქმე გაარიგა, რომელიც ყველა ექსპერტს შეუძლებლად მიაჩნდა. რუსის ადმირალმა განსაკუთრებული გენიოსობა გამოიჩინა. თუ როჟესტვენსკი იმდენადვე კარგად იბრძოლებს, რამდენადაც თავისი ესკადრა მოაწყო კარგად, მაშინ თამამად შეუძლიან ადმ. ტოგოსთან ბრძოლა. რუსეთი, უეჭველია, ბრწყინვალედ მოიქცა, რომ ზავი არ ჩამოაგდო. როგორც უნდა გათავდეს მომავალი საზღვაო ბრძოლა, ისტორია მაინც აღნიშნავს, რომ ადმ. როჟესტვენსკიმ საოცარი გამბედაობა და სამხედრო ნიჭი გამოიჩინა.

ტოკიო. სამი მილიონი ფუთის ხე იგზავნება მანჯურიაში. ერთი მილიონი უკვე გაიგზავნა.

გონკონგი. გემები იუწყებიან, ბალტიის ესკადრა კამრანის ბუხტაში არ გვინახავსო. იაპონიის მთავრობა ცდილობს ტელეგრაფით ცნობა მიიღოს ესკადრაზე.

პორტ-ლუი. გემ „ჟიულიეტა“-ს მეზღვაურები ირწმუნებიან, ბალტიის ესკადრა რამდენსამე კვირას დარჩება კამრანის ბუხტაშიო.

შანხაი. აქ არსებობს მზვერავ დაწესებულების განყოფილება, რომელიც ბალტიის ესკადრას ცნობებს უგზავნის.

პარიზი. თუმცა ინგლისურ წყაროდან იუწყებიან, იაპონიას მაინც არავითარი პროტესტი არ გამოუცხადებია რუსების გემების კამრანში ყოფნის შესახებ.

ლიმოჟი. სიწყნარე აღადგინეს. ცდილობენ მუშებსა და პატრონებს შორის მოლაპარაკება გამართონ.

ირკუტსკი. სასამართლო პალატაში დასრულდა გარჩევა საქმისა მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ: 28 ბრალდებულს ჰქონდათ განსახილველი საქმე, რომელთაც იაკუტის საოლქო სასამართლომ 12 წ. კატორღა გადაუწყვიტა თვითოს. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი და დაადგინა, იშუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე დამნაშავეთ კატორღა 2 წლის ციხეზე შეეცვალოთ.

კიშინევი. საბჭოს ყველა ხმოსნებმა სთხოვეს გუბერნატორს, მიიღეთ ზომები სააპასქოთ მოსალოდნელ არეულობის წინააღმდეგო. გუბერნატორმა დაამშვიდა ისინი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

სამოსადეგო ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 1 აპრილს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	$46{,}07^1/$
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	$37{,}72^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5^1/_4$—$6^3/_4$%
4% სახელმწიფო რენტა	$84^3/_8$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	376
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$298^1/$
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	$268^1/_2$
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$5^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^1/_2$% გირაგ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირაგ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	$218^1/_2$

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებ გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ(თხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში ოფ ასუ ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. ახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, ახლი ჩიტ[illegible]ხოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბაზრისა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახალი წიგნი

რანი ვიყავით გუშინ?

ისტორიული წერილი იაკობ გოგებაშვილისა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. ფასი ერთი აბაზი. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაგზავნის გურიაში იქაური საჯარო ბიბლიოთეკების შესავსებლად საუკეთესო წიგნებითა. (5—6.—3)

СѢДЕЛЬН.

СПЕЦІАЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (ფ—176—206)

ქუთაისი! **საქალებო წმიდა ნინოს** სასწავლებლის მთავრობა ამით აცხადებს, რომ ის [illegible] ...ხველენიც 11 აპრილამდე სწავლის ფ[illegible] ...იტანენ, გამორიცხულ იქნებიან ამ სას[illegible]. (3—3)

◆ [illegible] ◆

ვილებ, პლომ[illegible] ვასწორავებ, ვსვამ ახალ იელოვნურ კბი[illegible] მარჯენ ცუდ სუნს. გ. მ ხოხველი. მიხეი[illegible] 108. გერ. ანდელი ა ტაძ რის პირდაპირ. [illegible] ენს ივადა. (30—29)

საუ[illegible] [illegible]ხელოს [illegible] ქარხანა

ამზადებს ყოვ[illegible] ქართულს, რუსულს, სომხურს და თათ[illegible]

პრეისკურანტ[illegible] უფასოთ ეგზავნებათ.

პირველი საწყობი

შეშისა

◆ პ. ი. კურცხალიასი ◆

ანდრეევის ქუჩა, დამოვის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საწონობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჭენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—31) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

ქ. ბათუმში

ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში

წიგნის მაღაზია და საკანცელარიო ნივთების საწყობი

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდათ:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, პრეის-კურანტებს, კონვერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხვ. ყველა ევროპიულ ენებზე.

2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართულ-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალგვარი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ღირსების, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, როგორც რუსული, ისე საზღვარ-გარეთის; კონვერტები სავაჭრო და საკანცელარიო; ალბომები, ლენტები გარდაცვალებულთათვის; მხატვართათვის საჭირო იარაღები და სხვა ყოველგვარი სამწერლო და საკანცელარიო ნივთები და სხვ. (0—9)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიკოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაძისა.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელით, მოთხრობა—შელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი, ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	—
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	
ხენთი რაფვისა, თარგ. სომხურიდან გ. ევანგულოვისა	

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლ[illegible] **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის**[illegible] **რველობის ქვეშ.** სამკურნალოში [illegible] წოლია შინა გან, [illegible] სახირ[illegible] დედათა და თვალ[illegible] ბიარეთა განყ[illegible] სკოპიულ გა[illegible] დებ სენით [illegible] კურნალო [illegible] დღი[illegible] და წა[illegible]